ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 2022

№152 (8930)

ფასი: 80 თეთრი

## მანაგაძის კლინიკაში 7 წლის ბავშვი გარდაიცვალა





გვ.2

# „მელია არ არსებობს როგორც ლიდერი და თავი დაანებოს ამ პარტიას“




გვ.2

თაკო ჩარკვიანი: „პარლამენტის სხდომებს რომ დავესწრო, კობახიძის მომხრე გავხდები?! არ უნდა ვიცოდე, ჩემი სამშობლოსთვის რა ვერდიქტი გამოაქვთ?!“



„ნიკა მელიას სიტყვებია — აქციები აღარ არის აქტუალური. პოლიტპატიმრებს ვერ გამოვიყვანთ, სანამ ესენი იქნებიანო და თვითონ როგორ გამოვიდა ამ ხელისუფლების პირობებში?“



გვ.3

## „ქართული ოცნება“ პოლიტიკური მანევრისთვის ემზადება“

დავით ჭიჭინაძე: „ამ ეკონომიკურ სიდუხჭირეს ხელისუფლებამ რაღაცა უნდა დაუპირისპიროს“



გვ.3

## „შემოდგომიდან ლარის გაუფასურებას ველოდებით“

ოთო აბესაძე: „ქვეყანამ უნდა შეცვალოს საგადასახადო პოლიტიკა“

## ოკუპირებულ აფხაზეთში სუვერენიტეტის დაცვის ორგანიზაცია იქმნება

ბიჭვინთის აგარაკების საკითხი დამუხრუჭდა



გვ.4

## „რუსეთი გეოპოლიტიკური კრახისკენ მიდის და საფლავში ჩაყოლა აფხაზებს არ აწყობთ“



თამაზ ხუბუა: „ბიჭვინთის გასხვისება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ოკუპანტი აფხაზეთის ტერიტორიებს მოგონილი, ვირტუალური, 49-წლიანი მფლობელის ეგიდით, სამუდამოდ ითვისებს“

1993230720223

5 ვარკეთილში მეეზოვეს ავტომობილი დაეჯახა — ქალი ადგილზე გარდაიცვალა

6 24 თებერვლიდან 3 აგვისტომდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 41.350 რუსი ჯარისკაცი მოკლეს

5 კანონდარღვევით მოქმედი 22 აფთიაქი გამოავლინეს

6 ალექსეი არესტოვიჩი: „უკრაინას ალჟირვილობა კატასტროფულად არ ჰყოფნის“

# „მელია არ არსებობს როგორც ლიდერი და თავი დაანებოს ამ პარტიას“

## თაკო ჩარკვიანი: „პარლამენტის სხდომებს რომ დავესწრო, კობახიძის მომხრე გავხდები?! არ უნდა ვიცოდე, ჩემი სამშობლოსთვის რა ვერდიქტი გამოაქვთ?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.

*– ქალბატონო თაკო, „ქართული ოცნებიდან“ წასული დეპუტატები ახალ მოძრაობას აფუძნებენ. რა თამაში წამოიწყო ბიძინა ივანიშვილმა?*

– გეტყვით, რაც ხდება. ქუჩაში მყოფი მორგოშია და ძმანი მისნი, აღარ არის ივანიშვილისთვის მიმზიდველი. მას უფრო აინტერესებს, რომ უმრავლესობიდან შექმნას ახალი ჯგუფი. უნდა, რომ დეპუტატებმა იყვირონ.

*– საკანონმდებლო ორგანოში ჰყავდეს ალტერნატიული ძალა?*

– რა თქმა უნდა, ეს არის მისი მიზანი. ეს არის საქართველოს ანექსიის გეგმის ნაწილი. რასაც ივანიშვილი ახორციელებს უკვე დიდი ხანია. 270 ათასი რუსია შემოსული და დარეგისტრირებულია 6.400 რუსული კომპანია. ეს ოფიციალური მონაცემებია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში სანქციების გვერდის ავლით შემოვიდეს რუსეთი. შესაბამისად, დასავლეთი იძულებული იქნება, რომ საქართველო დაასანქციროს.

*– რამდენად საშიში ვითარებაა?*

– უმძიმესი ვითარებაა. მე 2014 წელს სწორედ ამიტომ წავედი ოპოზიციაში, როცა ივანიშვილის გეგმის შესახებ მივიღე ინფორმაცია. როცა დასავლეთსა და რუსეთს შორის დგას არჩევანი, მე მგონი, ნორმალურ ქართველს კითხვის ნიშანი არ ექნება. პირდაპირ გეუბნებით, საქართველოს გაყიდვა მიმდინარეობს და ჩვენ ახლა ან ვივარგებთ როგორც ქვეყანა, პირდაპირ ვამბობ, ქვეყანას უნდა მოვაცილოთ მოღალატე, კოლაბორაციული ხელისუფალი. არავითარი გადამეტებული სიტყვები ეს არ არის. ეს არის დაფუძნებული იმ ფაქტებზე, რაც მიმდინარეობს საქართველოში.

*– ალბათ მედვედევის განცხადებაც ნახეთ, რომელიც შემდეგ უცბად გააქრეს ინტერნეტ სივრციდან.*

– რა თქმა უნდა, ვნახე და გეტყვით, რომ ახლა რომ აქვს, მსგავსი ვითარება საქართველოს არ ჰქონია. სახელმწიფოებრიობას ვკარგავთ, ხალხო! დამოუკიდებლობის დაკარგვაზეა საუბარი. ახლა ერთადერთი გზა არის ამ ხელისუფლების მოცილება!

*– ხელისუფლების მოცილებაზე როდესაც საუბრობთ, ძალიან ბევრი ექსპერტისგან თუ პოლიტიკოსისგან მოვისმინე, რომ უკვე მომწიფდა სიტუაცია, ცვლილებების დროა და შემოდგომით აანონსებენ ამ ცვლილებებს. რა მოლოდინი გაქვთ?*

– მადლობა ექსპერტებს, მაგრამ ოპოზიციის ერთ ნაწილს ვეტყვი, ცოტა ხომ არ დააგვიანეთ?! რომ ქირქილებდით და არ გჯეროდათ, რასაც მე ვამბობდი. ხო არაფერი მეშლება? ნიკა მელიას სიტყვებია – აქციები აღარ არის აქტუალური. პოლიტპატიმრებს ვერ გამოვიყვანთ, სანამ ესენი იქნებიანო და თვითონ როგორ გამოვიდა ამ ხელისუფლების პირობებში? მაინტერესებს, როგორ მოვახერხეთ, რომ გამოვიყვანეთ?! გადამტრიალებლის მუხლით რომ შეიყვანეს, ამ ხელისუფლების პირობებში არ გამოვიდა?! ასეთი განცხადებები შეიძლება გააკეთოს ლიდერმა?! აბა რა ვქნათ, 2024-ს ველოდოთ თუ როგორ დაგვაკარგვინებენ ყველაფერს.



**„ნიკა მელიას სიტყვებია – აქციები აღარ არის აქტუალური. პოლიტპატიმრებს ვერ გამოვიყვანთ, სანამ ესენი იქნებიანო და თვითონ როგორ გამოვიდა ამ ხელისუფლების პირობებში?“**

*– რა უნდა ნიკა მელიას?*

– არ ვიცი, რა უნდა. ერთი ზუსტად ვიცი, მისი გეგმის მიხედვით საქართველო მივიდა დაღუპვის გზაზე, იმიტომ, რომ დააძინა დასავლური ვექტორის მქონე უდიდესი პარტია! დააძინა თავისი არასწორი სტრატეგიით. ჰოდა, ეს ალი-ყური მიიღოს ჩემგან! ის არ არსებობს როგორც ლიდერი და თავი დაანებოს ამ პარტიას. გზა დაუთმოს ისეთ ლიდერებს, ვინც სწორად დაგეგმავენ ამ ყველაფერს. ქვეყანას საფრთხე ემუქრება და მისმა პორწიალმა და მისმა პიპინ-პიპინმა რა მდგომარეობამდე მიგვიყვანა, ყველანი კარგად ვხედავთ. მას არ შერჩება ეს ამბავი. გამოდის და მიედმოედება რაღაცებს! ამდენი ხანია უჭირავს ამხელა პარტია თავისი ფინანსებით ხელში! და რას აკეთებს, ძალიან მაინტერესებს?!

*– რამდენად დადგა საფრთხე ნაციონალური მოძრაობის დაშლის?*

– პარტია რატომ უნდა დაიშალოს? გამოცვალონ ლიდერი, მოვიდეს მედასავლეთე და მტკიცე ხასიათის ლიდერი, რომელიც ბოკერიას და მის საცეცებს არ აყვება.

*– ბოკერია და მისი საცეცები რა შუაშია?*

– დღეს უკვე ლუსტრირებულია მთელი პოლიტიკური ველი. ბოკერიას საცეცებსაც კარგად ხედავს ხალხი. რიგით ჯარისკაცებად უნდა ვიქცეთ ყველა პოლიტიკოსი და დავუპირისპირდეთ ამათ. ერთი მთლიანი საქართველო უნდა დაუპირისპირდეს კოლაბორაციონისტ რუსეთზე მომუშავე ხელისუფლებას. აქციები უნდა განახლდეს და არავითარი ეს არ მოვა, ის არ მოვა არ უნდა იყოს. საქართველო ჩვენია, მათ არ აქვთ პრივატიზებული. ჩვენი შვილების არის. რა უნდა ველაპარაკო მელიას, 29%-იანი პარტია 6%-ზე ჩამოიყვანა! მე ნაციონალურ მოძრაობას კი არ ვიცავ, მე მაწუხებს, რომ 29%-იანი დასავლური ვექტორის მქონე პარტია, როგორ უნდა დასვა 8-9%-ზე?!

*– ეს მიზანმიმართული პროცესი იყო ნიკა მელიას მხრიდან?*

– არ ვაბრალებ არაფერს. თუ არ იყო, ესე იგი სუსტი ხარ. ორი აზრი ხომ არ არის სხვა მესამე? ან ვერ შეგიძლია, ან არ აკეთებ! არ ვაბრალებ, ბატონო, არკეთებას, მაგრამ რომ ვერ გააკეთა, ეს ხომ ფაქტია?! ეს ბოკერია კიდევ ძალიან ნერვიულობს ჩემზე და მიხეილ სააკაშვილზე. ასევე, გრიგოლ ვაშაძეზე. თამარ ჩარკვიანი მიხეილ სააკაშვილის სპიკერიაო. ვინმემ ხომ არ იცის, რატომ ნერვიულობს?!

*– რატომ?*

– იმიტომ ხომ არა, რომ მე მაქსიმალურად გვერდში დავუდექი მედასავლეთე ლიდერს, რომელიც უძლიერესი პოლიტიკოსია. ღიად ერჩის ბოკერია როგორც გრიგოლ ვაშაძეს, ისე სააკაშვილს. იმიტომ, რომ მაშინ გრიგოლმა გაიმარჯვა და მეორე ტური დადო. ბოკერიას კი მანიაკალური სურვილი აქვს პირველობის. ვერ ეღირსება ვერასოდეს! მის მიმართ საქართველომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და გაანულეს! მეტი რა ქნას ხალხმა? ხალხი არის ბრძენი და ყველას საკადრის ადგილს მიუჩენს. ამიტომ ჩემი რჩევაა, არ არის ახლა მელიას ტიპის პოლიტიკოსის ლიდერობის დრო. ვერ ივარგა მან ლიდერად!

*– ანუ აანონსებთ, რომ ცხელი შემოდგომა გვექნება და იქნება ხალხმრავალი აქციები ხელისუფლების წასვლის მოთხოვნით?*

– აუცილებლად. რა დროს სხვა რამეზე ლაპარაკია. ახლა რომ მოინდომეს, არ დავესწროთ კომიტეტის სხდომებსო, რატომ არ უნდა დაესწრონ? და რომ დავესწრო, რა, კობახიძის მომხრე გავხდები?! არ უნდა ვიცოდე, ჩემი სამშობლოსთვის რა ვერდიქტი გამოაქვთ?! ინფორმაციაც არ უნდა მქონდეს, რას აკეთებენ შიგნით?! როცა ვეხვეწებოდი ბოიკოტს, მაშინ არ დამიჯერეს და შეცვივდნენ. ახლა რა დროს ეს გამოკუნტრუშებაა?! მაშინ საერთოდ გამოვიდეთ. მაშინ პარლამენტი დავტოვოთ საერთოდ. თუ ვართ შიგნით, მაშინ დავესწროთ იმ სხდომებსაც, რომ გავიგოთ, რა უბედურებას სჩადიან.

# მანაგაძის კლინიკაში 7 წლის ბავშვი გარდაიცვალა

მანაგაძის კლინიკის დირექტორი აცხადებს, რომ 7 წლის ბავშვის გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს. როგორც ამბროსი პერტია ამბობს, ოპერაციის ჩატარებამდე ბავშვს ყველა კვლევა ჩაუტარდა.



– ბავშვს უტარდებოდა უროლოგიური ოპერაცია შარდსადენ მილზე. საწყისი ნარკოზის ჩატარების შემდეგ, რამდენიმე წუთში განვითარდა სუნთქვის დარღვევა, გულის რიტმის დარღვევა და გულის გაჩერება. სიკვდილის კონკრეტული მიზეზი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტიზის შედეგად. ყველა სამედიცინო კვლევა იყო ჩატარებული ნარკოზის სახეობის შესახებ, ეს იყო უკვე მესამე ჩარევა ამ პრობლემაზე, რამდენიმე წლის წინ ჩატარდა კიდევ ერთი, ოღონდ ის ჩატარდა ანესთეზიის სხვა სახეობით, – თქვა ამბროსი პერტიამ.

ცნობისთვის, მანაგაძის კლინიკაში 7 წლის ბავშვი გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ბიჭი ანესთეზიის გაკეთების შემდეგ დაიღუპა.

მომხდარში ოჯახი ექიმებს ადანაშაულებს.

# ბადრი ჯაფარიძე: „უკრაინაში რუსეთის შეჭრა ლაკმუსის ქაღალდივით აღმოჩნდა“

„უკრაინაში რუსეთის შეჭრა ლაკმუსის ქაღალდივით აღმოჩნდა – მან ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ ანტიევროპული ბუნება და, შესაბამისად, პრორუსული ბუნება გააშიშვლა“ – ამის შესახებ „ლელო საქართველოსთვის“ გენერალურმა მდივანმა, ბადრი ჯაფარიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ის რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, ეს არის რუსული პოლიტიკის მხარდაჭერა და გატარება.

– რუსული პოლიტიკის მხარდაჭერაა, როდესაც შეერთებულ შტატებს თავს ესხმი და ბრალს სდებ, თითქოს შენი უახლოესი პარტნიორი ცდილობს, ომში ჩაგითრიოს. რუსული პოლიტიკის მხარდაჭერა და გატარებაა, როდესაც თავს ესხმი უკიდურესად მაღალი კვალიფიკაციის მქონე დიპლომატს, როგორიც არის კარლ ჰარცელი და ამით ევროკავშირს და მის გატარებულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში თავს ესხმი. ეს არ უნდა დავიყვანოთ აშშ-ის ელჩსა და ევროკავშირის ელჩზე თავდასხმებად, როგორც პიროვნებებზე, ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის პოლიტიკაზე და ევროკავშირსა და მის პოლიტიკაზე თავდასხმა, შესაბამისად, ეს პირდაპირ დღევანდელი რუსული ოფიციალური პოლიტიკის ინტერესებში შედის, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, თუკი ვინმე საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩართვისგან იცავს, ეს ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და ქვეყნის უახლოესი პარტნიორები არიან და ომის საშიშროების რეალური საფრთხე რუსეთის ფედერაციიდან მომდინარეობს.

– იმის ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ თქვას, რომ საფრთხე რუსეთიდან მოდის და ის არის შესაძლო საომარი მოქმედებების შესაძლო ინსპირატორი, ისინი ბრალს ჩვენს უახლოეს მეგობრებს სდებენ, ანუ პრორუსულ პოლიტიკას და პროპაგანდას ატარებენ, – აღნიშნა ჯაფარიძემ.

მისივე განცხადებით, საქართველოში რუსეთიდან შემოსული მოქალაქეების გაზრდილი ნაკადები სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული და აუცილებელია გარკვეული ფილტრები, რომელიც მტრული განზრახვის მქონე ადამიანების ჩვენს ქვეყანაში შემოსვლას გამორიცხავს.



– რა თქმა უნდა, ტურისტის შემოსვლაზე არავინ არის წინააღმდეგი, ეს ჩვენს ტურიზმის ინდუსტრიას ეხმარება, მაგრამ ზოგადად უნდა გვესმოდეს, რომ როდესაც უკრაინაში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობს და ამ დროს, როდესაც რუსეთიდან შემომსვლელების ნაკადები იზრდება და განსაკუთრებით, კომპანიების რიცხვი გაიზარდა, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები აფუძნებენ, რა თქმა უნდა, აუცილებელია გარკვეული ფილტრები, რომელიც მტრული განზრახვის მქონე ადამიანების ჩვენს ქვეყანაში შემოსვლას გამორიცხავს. ის ადამიანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს არ აღიარებენ, ის ადამიანები, რომლებიც მიზანშეწონილად არ მიიჩნევენ, რომ საქართველო სუვერენული პროდასავლური დამოუკიდებელი სახელმწიფო იყოს, ასეთი ადამიანების ქვეყანაში შემოსვლა მხოლოდ ზიანის მომტანია, – განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

რაც შეეხება ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნის სტატუსს – „ლელოს“ გენერალური მდივნის თქმით, „ქართული ოცნების“ პირობებში ამ სტატუსის მიღება შეუძლებელია.

ჯაფარიძის განცხადებით, ოპოზიცია ევროკავშირის 12 რეკომენდაციის შესასრულებლად კანონპროექტებს სექტემბრამდე შეიმუშავებს, თუმცა ის მმართველი გუნდისგან მხარდაჭერას არ ელის.

– მათ უნდათ, რომ კომისიები დაპირისპირების პლატფორმად გამოეყენებინათ და ჩვენ, რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალება არ მივეცით, იმიტომ, რომ ჩვენთვის მთავარია, ამ რეკომენდაციების შესაბამისი ევროპული სტანდარტების შესაბამისი კანონპროექტები სწრაფად შევიმუშაოთ. ეს კანონპროექტები, რომლებიც სექტემბრამდე დასრულდება, იქნება დარეგისტრირებული კომიტეტებში და, შესაბამისად, პლენარულ სხდომაზე გადატანად, მაგრამ ჩვენ „ქართული ოცნების“ მხრიდან არ ველოდებით, რომ ისინი მხარს დაუჭერენ, – აღნიშნა მან.

ბადრი ჯაფარიძის თქმით, დეოლიგარქიზაცია არა კანონპროექტს, არამედ ინსტიტუციების რეფორმირებას მოითხოვს.

– ჩვენ ვიხრებით იმ მოსაზრებისკენ, რომ დეოლიგარქიზაცია მოითხოვს არა კანონპროექტს ცალკე დეოლიგარქიზაციაზე, არამედ დეოლიგარქიზაციას ინსტიტუციების რეფორმირება უზრუნველყოფს, ანუ სასამართლო რეფორმა, მართლმსაჯულების რეფორმა, ხელისუფლების გადანაწილება და სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნების პროცესების გამჭვირვალობა. „ქართული ოცნების“ მხრიდან არის მცდელობა, რომ ისეთი კანონპროექტი შემოიტანონ, რომელიც ბიძინა ივანიშვილს არ შეეხება, რომელიც ბიძინა ივანიშვილს გვერდზე დატოვებს და ჩვენს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული, – განაცხადა „ლელოს“ გენერალურმა მდივანმა.

მან ასევე, ე.წ. სუს-ის კრებსების საქმეზე ისაუბრა – ბადრი ჯაფარიძის თქმით, პროკურატურა მისთვის და მამუკა ხაზარაძისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას თავს ვერ აარიდებს.

– წინა ხელისუფლების დროს ტოტალური უკანონო მოსმენები იყო, ახლაც „ქართული ოცნება“ იმავეს აკეთებს და ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს საძირკვლის ნგრევა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევაჩეროთ, რაც არის პოლიტიკური ოპონენტების თუ მათთვის საინტერესო სხვა პირების უკანონო მოსმენები, – განაცხადა ჯაფარიძემ.

ISSN 1987-9385
9 771987 938006
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნება“ პოლიტიკური მანევრისთვის ემზადება“

## დავით ჭიჭინაძე: „ამ ეკონომიკურ სიდუხჭირეს ხელისუფლებამ რაღაცა უნდა დაუპირისპიროს“



ნათია ხურცილავა

**„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო დავით, 2024 წლის არჩევნებისთვის, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ განსხვავებული სტრატეგიით ემზადება. „ოცნებიდან“ წასულმა სამმა დეპუტატმა უკვე დააანონსა ახალი პარტიის დაფუძნების შესახებ. შეიძლება ეს იყოს ტაქტიკის ნაწილი?***

– რა თქმა უნდა! მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ ფლობს მთელ მექანიზმს არჩევნების მოგების, აშკარაა, რომ 2024 წელს საპარლამენტო არჩევნების მოგება გაუჭირდება. პროპორციული არჩევნების მოგება, მიუხედავად მაღალი საარჩევნო ბარიერისა, ძალიან რთული იქნება. ამიტომ „ოცნება“ ცდილობს ერთგვარ გადაწყობას. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებამ ოპოზიციაშიც დაიწყოს სატელიტების ძიება, რათა შემდეგ კოალიცია შექმნან.

***– კოალიცია ვისთან?***

– საკუთარ დანაყოფებთან და ე.წ. ოპოზიციასთან, რომელიც მისი გავლენის ქვეშაა. ამით შეეცდებიან ერთგვარ მანევრს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას, ხალხს უთხრან, რასაც ითხოვდით, ის შევასრულეთ. ქვეყანაში კოალიციური მმართველობაა, მაგრამ ეს ძალიან სახიფათო თამაშია და აქედან არაფერი არ გამოვა. თავად „ოცნებას“, იმ ერთ კაცსაც, უკვე ისე აქვს შერყეული რეიტინგი, რომ მისი დანაყოფი კი არა, საერთოდ ამ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდება. ხალხი ყველაფერს ხვდება და ყველაფერი კარგად აქვს გააზრებული. ძალიან სერიოზული არჩევნები გველოდება.

***– სერიოზული რა მხრივ?***

– ყოველმხრივ. ეს არჩევნები პირველ რიგში რთული იქნება ხელისუფლებისთვის. ამ ხიფათს ისინი გრძნობენ და ამიტომ უკვე დაიწყეს მოქმედება. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ დანაყოფს ირაკლი ღარიბაშვილი ჩაუდგეს სათავეში. მას, ასე თუ ისე, რეიტინგი აქვს. იმ სამი დეპუტატისგან ლიდერი ვერც ერთი ვერ გახდება, ეს კარგად იციან. ეს იქნება ახალი თამაში, მაგრამ კრახისთვის განწირული, აქედანვე ვეუბნები, რადგან ასეთმა თამაშებმა ბევრი პარტია დაღუპა, ასეთ თამაშებს ამომრჩეველი სხვანაირად უყურებს. ყველა ყველაფერს ხვდება. ხალხი ბრმა არ არის, რომ ვერ მიხვდეს, სინამდვილეში რა ხდება.

***– თუ თქვენს ლოგიკას მივყვებით, მაშინ გამოდის, ახალი პრემიერი უნდა დაინიშნოს. სამთავრობო ცვლილებები იქნება?***

– რა თქმა უნდა, იქნება. ამ გადაადგილებასთან კავშირშიც შეიძლება არც იყოს სამთავრობო ცვლილებები, რადგან ხელისუფლებას ისედაც ძალიან რთული შემოდგომა ელოდება. ხომ ხედავთ, როგორი გაზრდილია ფასები. ადამიანებს ძალიან უჭირთ. საშინელი სიღატაკეა. შეუჩერებლად გრძელდება ინფლაციური პროცესი.

ცხოვრება საამური არც ხელისუფლებისთვის არ იქნება. აქამდე ქვეყანა თუ ემიგრანტების გზავნილებით ცხოვრობდა, ხომ ხედავთ, რა სჭირს დღეს ევროს. როგორი ინფლაციური პროცესია ევროკავშირის ბაზარზე. ეს, რასაკვირველია, ემიგრანტებზე დამატებითი წნეხი იქნება. ეს არ იქნება არც ხელისუფლებისთვის მარტივი. ეს ახალი გამოწვევაა ყველასთვის.

აქამდე ხელისუფლება მარტივი პოლიტიკით ცხოვრობდა. „ქართული ოცნება“ არაფერზე არ იდგა, გარდა ერთისა: მზად იყო მთელი საქართველო გაეშვა ემიგრაციაში და იქიდან გამოგზავნილი ფულით, აქ, თვითონ მარტივად ეცხოვრათ, მაგრამ ახალ უკვე ველარ იქნება ასე. იაფი ბილეთების დაპირებაც ხომ კარგად გახსოვთ. ფასებს ვერაფერი აჩერებს. საშინელი მდგომარეობაა, მსყიდველობითუნარიანობა დაკარგულია. შემცირებულია გზავნილები. თუმცა მაისში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ამ ეკონომიკურ სიდუხჭირეს რაღაცა უნდა დაუპირისპიროს ხელისუფლებამ. ცხადია, ეს ვერ იქნება ეკონომიკის ამოქმედება, რადგან არ უნდათ მცირე და საშუალო ბიზნესის გადასახადისგან განთავისუფლება. ამიტომ, ერთადერთი იმიტაცია ვითომ ცვლილებებისა და სიახლის მოლოდინის შექმნის, იქნება სამთავრობო ცვლილებები. არაფერი ამ ცვლილებებს ეკონომიკასთან საერთო არ ექნება. წამგებიანი და დამანგრეველია ეს პოლიტიკა ეკონომიკისთვის. ბანკების სექტორის თარეშმა დაღუპა საქართველოს ეკონომიკის პოტენციალი. ბანკების დიქტატის ქვეშაა მთელი ქვეყანა.

***– ხელისუფლება ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობს.***

– რა თქმა უნდა, ისაუბრებს. ეს არის მოჩვენებითი ზრდა ლოკდაუნის პირობებში. ზრდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ეკონომიკური დოვლათის შექმნასთან. საწარმოების ამუშავებასთან, მოქალაქეების დასაქმებასთან. ინფლაციაზე, კატასტროფულ ფასებზე, ფასების 100%-ით ზრდაზე რატომ არ საუბრობენ?! იმპორტირებული ფული კი ეკონომიკას ვერ აამუშავებს. იმდენად დიდი პრობლემები დაუგროვდა ყველა მიმართულებით ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, წამყვანი ეკონომიკური მიმართულებაა, „ქართულ ოცნებას“ აუცილებლად დასჭირდება პოლიტიკური მანევრი და ის ამისთვის ემზადება.

# „შემოდგომიდან ლარის გაუფასურებას ველოდებით“

## ოთო აბესაძე: „ქვეყანამ უნდა შეცვალოს საგადასახადო პოლიტიკა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ოთო აბესაძე პასუხობს.**

***– ოთო, როგორ აფასებ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? ივლისში ინფლაციის მაჩვენებელი 11,5%-იაო. ასევე ვისმენთ შეფასებებს, რომ ქვეყანა რუსულ ეკონომიკას ჩამოეკიდაო. როგორია თქვენი შეფასებები, რა მოლოდინები გაქვთ?***

– მთავარი პრობლემა და გამოწვევა კვლავ რჩება ინფლაცია, რომელსაც ვერ ვერევით. ვერ ვერევით იმიტომ, რომ ქვეყანაში არ შემოდის მყარი ვალუტა და პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. საუბარია დოლარსა და ევროზე. ქვეყანა ვერ იღებს ინვესტიციას ეკონომიკური კუთხით. ქვეყანა იღებს მხოლოდ ემიგრანტებისგან გადმორიცხულ თანხებს. შესაბამისად, ეს თავისთავად ეკონომიკურ გლობალურ გავლენაზე ვერ ახდენს გავლენას. ამიტომაც გვაქვს ინფლაცია და ამიტომაც გვაქვს ფასების ზრდა. აქ პრობლემა არის ის, რომ საქართველო აღარ არის მიმზიდველი დასავლური სამყაროსთვის, როგორც საინვესტიციო ლოკაცია.

***– ოთო, სულ ვისმენთ შეფასებებს და საყვედურებს მოსახლეობისგან, რომ მყარდება ლარი, მაგრამ ამავდროულად პროდუქტები გაიაფების ნაცვლად ძვირდება. რატომ ძვირდება პროდუქტები და რატომ არის საწვავზე ამხელა ფასი?***

– იმიტომ, რომ გვაქვს ინფლაცია. საქართველო რასაც მოიხმარს, საკვები, სასმელი, ტანსაცმელი და ასე შემდეგ, 73%-ზე მეტი არის იმპორტირებული. ფასწარმოქმნა ხდება სხვა ქვეყანაში, სხვა ვალუტაში, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ინფლაციური ფონი და წნეხი ვერ



უძლებს სხვა ქვეყნის ფასწარმოქმნას და აქედან გამომდინარე ძვირდება პროდუქცია. ლარის გამყარება საერთოდ არაფერ შუაში არ არის ფასწარმოქმნასთან. ინფლაციაა პრობლემა და ქვეყანაში არ შემოდის დიდი ვალუტა. რას ნიშნავს ინფლაცია? რომ დაეწიოს ადამიანის შემოსავლები ფასებს, ამისთვის საჭიროა ინფლაციის პარალელურად მოხდეს შემოსავლების ზრდა. პირობითად, თუ ადამიანს 2020 წელს თვიდან თვემდე სჭირდებოდა კონკრეტული საქონლისა და მომსახურებისთვის 1.000 ლარი, დღეს, ზუსტად იგივე მომსახურებაში სჭირდება 1.480 ლარი. რეალურად 480 ლარით გაუძვირდა მას სერვისი და მომსახურება, მაგრამ შემოსავალი არ გაზრდია, კვლავ იგივე დარჩა.

ჩვენ თუ გვინდა, რომ ფასებს დავეწიოთ, უნდა გაიზარდოს შემოსავლები. შემოსავლები ინფლაციის ხარჯზე არ უნდა გაიზარდოს. შემოსავლები იზრდება ეკონომიკის ზრდის ხარჯზე. ეკონომიკის ზრდა არ გვაქვს, იმიტომ, რომ არ შემოდის ქვეყანაში მსხვილი ინვესტიციები! მორჩა, აი ეს არის მთელი წრე.

***– ყველაზე მეტად საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები ძვირდება.***

– დიახ, ასეა, ძვირდება სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ქვეკატეგორია. ყველაზე მოწყვლადი სეგმენტია ეს. მოსალოდნელი იყო, რომ მასზე ფასის ზრდა იქნებოდა. ასევე საწვავზეც. ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი ამბავია, მთავარია, სწორად მოხდეს ეკონომიკის მართვა. ქვეყანამ უნდა შეცვალოს საგადასახადო პოლიტიკა, ქვეყანამ უნდა განაახლოს საინვესტიციო ნუსხები და ქვეყანამ უნდა შემოიტანოს ბევრი ფული. სხვა შემთხვევაში თვიდან თვემდე გავღარიბდებით და ფასები მოიმატებს.

***– აგვისტოს პროგნოზი როგორია, ინფლაცია კვლავაც მაღალი გვექნება?***

– ინფლაცია კვლავ გაიზრდება და თვიდან თვემდე დაახლოებით 10%-ით ვღარიბდებით საქართველოს მოსახლეობა. აი ეს არის ჩემი პროგნოზი. პოზიტიური პროგნოზი რომ გავაკეთო, ამისთვის მთავრობამ დღეს უკვე უნდა გადადგას პოზიტიური ნაბიჯები და არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა და არანაირი რეფორმა არ ჩატარებულა. როგორ უნდა მქონდეს პოზიტიური მოლოდინი, ან როგორ უნდა შემოვიდეს გარე ფული, თუ ახლა არ მუშავდება და არ მზადდება საგადასახადო პოლიტიკა და არ ქმნიან საინვესტიციო გარემოს.

***– ყოველ მთავრობის სხდომას ასე იწყებს პრემიერი, რომ დუღს და გადადუღს ჩვენი ეკონომიკაო. ვღარიბდებით, ფაქტია და ეკონომიკა იზრდება?***

– ერთადერთი, დღეს რაც დუღს და გადადუღს, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ინფლაცია და გაზრდილი ფასები, მეტი არაფერი.

***– ოთო, რამდენად საშიშია რუსული ფულის ასე შემოჭრა ჩვენს ეკონომიკაში? ვისმენთ შეფასებებს, რომ სულ უფრო ვხდებით რუსულ ეკონომიკაზე მიბმულებიო. რას იტყვით ამის შესახებ?***

– ეს არის ძალიან ღრმა და გლობალური საკითხი. რუსული ფული საქართველოში შემოდის ძალიან დიდი რაოდენობით, მაგრამ ეს ფული საქართველოში არ რჩება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სავალუტო მანიპულაციებთან. იქიდან აქ რიცხავენ სხვადასხვა მექანიზმებით ფულს, შემდგომ, აქ, ამ ფულის დამხვედრები, ამ ფულს იღებენ, ათეთრებენ, ან სხვა ვალუტას ყიდულობენ და აბრუნებენ უკან. რეალურად ჩვენ საქმე გვაქვს რუსი ადამიანების სავალუტო თაღლითობასთან. ეს თავიდან ბოლომდე მაქინაციებია.

***– რამდენად ვზარალდებით ამით?***

– ქვეყანა ზარალდება იმით, რომ არ შემოდის რეალურად ეკონომიკური ინვესტიციები. როცა ქვეყანაში მარტო ტრანზაქციები კეთდება და ეკონომიკური ინვესტიციები არ კეთდება, ამით ყოველდღე ვზარალდებით.

***– არის მოლოდინი, რომ ლარი შემოდგომიდან გაუფასურებას დაიწყებსო.***

– აუცილებლად ასე იქნება. შემოდგომიდან ველი ლარის გაუფასურებას.

***– ის კორიდორი, რომელზეც ახლა ამყარებენ იმედებს და რომელიც ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ეს რამდენად წაადგება ჩვენს ეკონომიკას?***

– იმედების დამყარება არის ერთი და რეალობა ეკონომიკაში არის მეორე. თეორიულ მსჯელობაში ქვეყანაში ფული არ შემოდის, ფული შემოდის საქმით! და დღემდე, არც ერთი ეკონომიკური რეფორმა ქვეყანაში არ განხორციელებულა. ეს არის ფაქტი. დღეს საქართველოში შემოსული ფულის 83%-ზე მეტი არის ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხები. ეკონომიკურად კი არაფერი არ განახლებულა.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტში ყირიმ-კონგოს ცხელებით 45 წლამდე ასაკის კაცი გარდაიცვალა

გავრცელებული ინფორმაციით, 45 წლის მამაკაცი მკურნალობას თბილისში ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში გადიოდა.

ცნობისთვის, დაავადებათა კონტროლის



ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ბოლო 7 თვეში, საქართველოში ყირიმ-კონგოს 42 შემთხვევაა დადასტურებული, ფიქსირდება უკვე სამი გარდაცვალება.

„ინფო რუსთავი“

## მამუკა მდინარაძე: „ივანიშვილის გვარი რატომ ხმოვანდება ამდენჯერ, ადამიანის, რომელიც პოლიტიკაში არ არის?“

„ივანიშვილის გვარი რატომ ხმოვანდება ამდენჯერ, ადამიანის, რომელიც პოლიტიკაში არ არის?! – ქვეცნობიერი კომპლექსი აქვთ“ – ასე აფასებს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა მდინარაძე ჟურნალისტებთან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ თავმჯდომარის ეკა გიგაურის განცხადებას, რომ ხელისუფლების რიტორიკა ბიძინა ივანიშვილის მიერ არის შეთანხმებული და დაგეგმილი.

როგორც მდინარაძე განმარტავს, არსებობენ კონკრეტული ძალები, მათ შორის, დასავლეთში, რომლებიც ცდილობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი „შემოაბრუნონ პოლიტიკაში, დააშანტაჟონ და გარკვეული მოქმედებები განახორციელონ“.

– ივანიშვილის გვარი რატომ ხმოვანდება ამდენჯერ? ადამიანის, რომელიც რეალურად პოლიტიკაში არ არის. პირველი – იმიტომ, რომ ქვეცნობიერი კომპლექსი აქვთ. ორივე აქვთ კომპლექსი და შიში. 2012 წლიდან მოყოლებული,



სადაც ეს ადამიანი იყო ჩართული, ყველგან დაამარცხა. ის მავნე პრაქტიკა თუ წარსული, რაც ამ ქვეყანაში იყო, ამ ადამიანის ანგარიშზეა, დაამარცხა. ამის კომპლექსი აქვთ. რაღაც სალაპარაკო ხომ უნდა ჰქონდეთ დღეს?

არსებობენ კონკრეტული ძალები, მათ შორის, დასავლეთშიც, რომლებიც ცდილობენ, რომ ბიძინა ივანიშვილი შემოაბრუნონ პოლიტიკაში, დააშანტაჟონ და გარკვეული მოქმედებები განახორციელონ. როდესაც ეს ადამიანი ამას არ აკეთებს, პოლიტიკიდან დისტანცირებულია, პიარის საფუძვლად სჭირდებათ, რომ ებრძოლონ პოლიტიკიდან წასულ ადამიანს, თითქოს არ გასულა, მეორე მხრივ, დააშანტაჟონ, საერთო შანტაჟის სქემაში ჩაერთონ „წარმატებულად“ – აღნიშნა მდინარაძემ.



**შევიძენ**
**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**
**ტელ.: 598-43-98-57**

2022, 4 აგვისტო, №152

# ოკუპირებულ აფხაზეთში სუვერენიტეტის დაცვის ორგანიზაცია იქმნება

## ბიჭვინთის აგარაკების საკითხი დამუხრუჭდა

**მარიამ მჭედლიშვილი**

ოკუპირებული აფხაზეთის პარლამენტმა, საზოგადოების ზეწოლის გამო, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა იმ ე. წ. შეთანხმების რატიფიკაცია, რომელიც ეხება რუსეთის საკუთრებაში გარკვეული ობიექტების (პირველ რიგში, ბიჭვინთის ობიექტების) გადაცემას.

„ახალი თაობა“ 12 ივლისს წერდა, რომ აფხაზეთის პარლამენტის საერთაშორისო და საპარლამენტთაშორისო კავშირების კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც მთავრობის წევრები ესწრებოდნენ, მხარი დაუჭირეს შეთანხმების რატიფიკაციას რუსეთსა და აფხაზეთის რესპუბლიკას შორის რუსეთის ფედერაციის საკუთრებაში აფხაზეთის მთელი რიგი ობიექტების (ბიჭვინთის აგარაკების) გადაცემის შესახებ. პარლამენტს რეკომენდაცია მიეცა, მოახდინოს მისი რატიფიკაცია.

შეთანხმებას ხელი მოეწერა მიმდინარე წლის 19 იანვარს. ის ითვალისწინებს რუსეთისათვის „ქონებრივი კომპლექსების“ უსასყიდლოდ გადაცემას, აგრეთვე საზღვაო აკვატორიის მიმდებარე მიწის ნაკვეთების იჯარით დათმობას.

კომიტეტმა აგრეთვე იმსჯელა 1995 წელს ხელმოწერილ შეთანხმებაზე. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის დაცვის მთავარ სამმართველოს ეძლევა უფლება, უსასყიდლოდ ისარგებლოს ბიჭვინთაში განლაგებული მე-8, მე-9 და მე-10 აგარაკებით არსებულ საზღვრებში და სხვა უძრავი ქონებით.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში უძრავი ქონების გასხვისება უცხოელებზე აკრძალულია.



კომიტეტის სხდომის შემდეგ მდგომარეობა უფრო დაიძაბა. ბიჭვინთის მოსახლეობამ პროტესტი გააძლიერა. აგარაკ „ბიჭვინთაზე“ მთელი საქართველო ალაპარაკდა. რუსეთის მხრიდან ანექსიის მცდელობა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაც გაახმოვანა.

შექმნილ სიტუაციაში აფხაზეთის პარლამენტმა ვერ გაბედა რუსეთის მთავრობასთან ხელმოწერილი შეთანხმების რატიფიკაცია. შეთანხმება შესამოწმებლად გადაეცა აფხაზეთის ე. წ. საკონსტიტუციო სასამართლოს.

რუსეთისთვის ობიექტების გადაცემას, ასევე საწვავის ფასებს სოხუმის ცენტრში აპროტესტებდნენ აგრეთვე სამოქალაქო აქტივისტები. მათ სხვა აქტივისტების მოწოდებით შიმშილობა შეწყვიტეს.

ბიჭვინთის პრობლემატიკამ, რუსეთის მიმართ განაწყენებამ, აფხაზური ადმინისტრაციის შეცდომებმა ბიძგი მისცა ახალ მოძრაობას. მისი საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი **ლეუან მიქაა** ამაზე ესაუბრა დასავლურ „ეხო კავკაზას“. ინტერვიუში გამოყენებულია ტერმინოლოგია, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

***– რამ განაპირობა ახალი მოძრაობის შექმნა?***

– თანამედროვე გამოწვევები და საერთაშორისო სიტუაცია ძალიან სერიოზულია. ამიტომ ვიკრიბებით. შეშფოთებას იწვევს აფხაზეთის ხელისუფლების განცხადებები იმაზე, რომ ჩვენ ჩვენი სუვერენიტეტი უნდა გავყოთ. ამის თაობაზე დავიწყეთ კონსულტაციები, საუბრები. რასაკვირველია, გვაწუხებს ისიც, რაც ბიჭვინთაში ხდება. დღის წესრიგში დგას სხვა საკითხებიც. ვგრძნობთ ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს. ვცდილობთ გავაერთიანოთ ძალები და საზოგადოებას ავუხსნათ, რისთვისაა საჭირო სუვერენიტეტი და რისი დაცვა შეუძლია მას.

ჩვენი საინიციატივო ჯგუფი გახსნილია დისკუსიების ახალი მონაწილეებისათვის.

დარწმუნებული ვართ, შეგვიძლია ჩვენი თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა მუშაობა. იმის საშუალებებიც გვაქვს, რომ სამართლებრივ ჭრილში მივაღწიოთ სუვერენიტეტს. გვაღელვებს განცხადებები იმის შესახებ, თითქოს ვერ გადავჭრით ამა თუ იმ ამოცანას, ვერ დავიცავთ ამ ტერიტორიას და ამიტომ სხვას უნდა გადავცეთ. ეს არის ნულოვანი არგუმენტაცია. ამიტომ გვინდა მივმართოთ ახალგაზრდებს, გვინდა ვიხილოთ მათი აქტიურობა და ნების გამოჩენა. ვამზადებთ დეკლარაციას. გვინდა, რომ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირონ პოლიტიკურმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პიროვნებებმა.

***– თქვენი შემდგომი მოქმედებები როგორი იქნება?***

– ყველაზე მთავარია საინფორმაციო კამპანია. მას ვატარებთ კიდეც. სხვადასხვა მოედანზე ანალიტიკურად, სპეციალისტებთან ერთად განვიხილავთ სხვადასხვა პრობლემას. სამოქალაქო აქტივისტებს, მათ შორის, ჯანსულ ადლეიბას ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან ერთად ვთხოვეთ, შეეწყვიტათ შიმშილობის აქცია. ის გმირულად იბრძვის ჩვენი საერთო ინტერესებისათვის. მისი ჯანმრთელობა გვაღელვებს.

***– ზოგი მომხრეა რუსეთთან შეთანხმების რატიფიკაციისა, ზოგი – მოწინააღმდეგე. ვინც მომხრეა, იმასაც კი ეშინია იმისი, რომ ეს ყველაფერი იმოქმედებს რუსეთთან ურთიერთობებზე. თქვენ როგორ გგონიათ?***

– არ შეიძლება ისეთი სასიცოცხლო, კონცეპტუალური თემებით სპეკულირება, როგორიცაა რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობა. ეს შეთანხმება შედგენილია არაპროფესიონალურად, აფხაზეთის კანონმდებლობის გაუთვალისწინებლად. ჩვენ რუსეთთან მოკავშირეობისა და ძმობის მომხრენი ვართ, მაგრამ არსებობს ჩვენი ეროვნული ინტერესები. მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები უნდა გამოიტანონ საზოგადოების სამსჯავროზე.



## ირაკლი კობახიძე: „დანილოვი არის ჩვენი ოპონენტების ერთ-ერთი რუპორი“

დანილოვი არის ჩვენი ოპონენტების ერთ-ერთი რუპორი. ხშირად ვამბობთ, რომ ეს არის ჩვეულებრივ ომის რიტორიკა, – ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის, ოლექსი დანილოვის განცხადებას, რომლის თქმით, „თუ საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, შეუძლია, საკუთარი მიწები დაიცვას“.

როგორც უმრავლესობის ლიდერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ომის რიტორიკა კონკრეტული ადამიანებისგან მოდის და ისინი ხელისუფლების ოპონენტებთან არიან დაკავშირებული.

– დანილოვი არის ჩვენი ოპონენტების ერთ-ერთი რუპორი. ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ეს არის ჩვეულებრივ ომის რიტორიკა, რაც კონკრეტული ადამიანების მხრიდან მომდინარეობს, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩვენს ოპონენტებთან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს ადამიანები გაემიჯნონ შესაბამის განცხადებებს. ყველასგან გამიჯვნა მნიშვნელოვანია, თუმცა, ეს ხშირად არ ხდება, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა, ოლექსეი დანილოვმა უკრაინულ მედია24 Канал-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ დღესაც თვლის, რომ თუ საქართველო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საკუთარ ტერიტორიებად მიიჩნევს, შეუძლია დაიცვას საკუთარი მიწები.

# „რუსეთი გეოპოლიტიკური კრახისკენ მიდის და საფლავში ჩაყოლა აფხაზებს არ აწყობთ“

## თამაზ ხუბუა: „ბიჭვინთის გასხვისება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ოკუპანტი აფხაზეთის ტერიტორიებს მოგონილი, ვირტუალური, 49-წლიანი მფლობელის ეგიდით, სამუდამოდ ითვისებს“

**გულიკო ბალაძე**

**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამაზ ხუბუა პასუხობს.**

***– ბატონო თამაზ, მოგეხსენებათ, რუსეთი აფხაზეთში თავისი გავლენების გაფართოვებას და ბიჭვინთის ტერიტორიის ანექსიას გეგმავს. ცდილობს, ბიჭვინთის ტერიტორია და სახელმწიფო აგარაკები ჩაიგდოს ხელში. აფხაზეთში ამას საზოგადოების წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან. თქვენ როგორ უყურებთ ამ პროცესს?***

– სიტუაციის ასეთი განვითარება მოსალოდნელი იყო მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციასა და რუსეთის ფედერაციას შორის, 2020 წელს, დაიდო ე.წ. ხელშეკრულება აფხაზეთის რუსეთის ფედერაციის ეკონომიკურ სივრცეებთან ინტეგრაციისა და კანონების ჰარმონიზაციის თაობაზე, რომელიც 42-პუნქტიანი დებულებისაგან შედგება. მართალია, არც ერთი არ შესრულებულა, მაგრამ აფხაზებს განწყობა აქვთ ისეთი, რომ ამით რუსეთს უნდა, ანექსიის პროცესი „კანონს“ დაუქვემდებაროს.

ბიჭვინთის გასხვისება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ოკუპანტი ამჟამად იქ მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას არაფრად დაგიდევთ და აღნიშნულ ტერიტორიებს მოგონილი, ვირტუალური, 49-წლიანი მფლობელის ეგიდით, სამუდამოდ ითვისებს და თავისად აცხადებს.

აფხაზეთში მცხოვრებლები (თუ ყველა არა, ნაწილი მაინც) საჯაროდ არ აცხადებდნენ, მაგრამ ადრეც ხვდებოდნენ, რომ რუსეთი ბოლო პერიოდში აფხაზეთისთვის ვერ იცლის, 85%-იანი ფინანსური დახმარებიდან ჩამოვიდა 15%-მდე, ხელფასის გაცემის პრობლემა გაჩნდა. ეკონომიკური კოლაფსი ახლოვდება, არაფერს აწარმოებენ. რუსეთი ეუბნება, თქვენს თავს თვითონ მიხედეთო.

აფხაზები თავის თავს როგორ მიხედავენ, იცით. ეს ყველაფერი ნელ-ნელა დაგროვდა. იქაც არიან ადამიანები, რომლებიც მთლიანად ასიმილაციისა და, საერთოდ, როგორც „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“, გაქრობის საფრთხეს ხედავენ.

***– მათ ვირტუალურ დამოუკიდებლობასაც კი საფრთხე ექმნება.***

– დიახ, თუნდაც ამას. მათ იციან და გათავისებული აქვთ, რომ ვერავითარ დამოუკიდებლობას, ჯერჯერობით, ვერ მიაღწიეს. ყველაფერი რუსულ ხიშტზეა დამყარებული. არარსებული, გაუგებარი სახელმწიფოების მხარდაჭერით არიან გაზულუქებულები, მაგრამ ადამიანები მაინც გრძობენ, რომ რუსეთი უპრაგონოდ, უბატონოდ ითვისებს აფხაზეთის ძირძველ მიწას. ეს მიწა აფხაზებისაა, აფსუების, სეპარატისტების თუ ქართველების, მოსახლეობას არ აინტერესებს. ფიქრობენ, რომ აფხაზეთი სხვისდება და იკარგება.

მათ გამოთქვეს პირველადი პროტესტი, მაგრამ ზოგჯერ მაკვირვებს ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსისა და მოქალაქის გულუბრყვილო დამოკიდებულება, ნახეთ, აფხაზები პროტესტს აცხადებენო.



პროტესტი ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ არ არის. ქართული სახელმწიფო და ქართველები კვლავინდებურად მტერ ერად და მტერ სახელმწიფოდ მოიაზრება. ისინი თავიანთი ინტერესების ხმამაღლა გამოცხადებას ცდილობენ. ეს არის „ამცახარა“, ოპოზიციური პარტია, რომლის ხელმძღვანელია ნომერ პირველი სეპარატისტი სერგეი შამბა. ისინი სიტუაციას იყენებენ იმისათვის, რომ თავიანთი ოპოზიციური ვნებები აამაღლონ. ამას ემსახურება იგივე ქრისტინე თაკალანძის დაკავება ადმინისტრაციულ საზღვარზე, თითქოს საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობდა.

იგივე ბებუას პატიმრობა, რომელიც ციხეში დროშის დაწვისთვის ზის. მათზე აქცენტირება იქ მცხოვრები ადამიანების ყურადღების გადასატანად ხდება – ხომ ხედავთ, საქართველო შემოჭრისთვის ემზადება, რა დროს პროტესტიაო. მდგომარეობიდან გამოსვლის პრიმიტიული, ბანალური გამართლებაა, ბუნტი რომ არ იყოს.

***– რუსეთმა თავისი ოკუპაციური და ანექსიური პოლიტიკის დასაფარავად აფხაზ სეპარატისტებთან ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ მაშინ ამას აფხაზურ საზოგადოებაში პროტესტი არ მოჰყოლია. თუმცა, ახლა აშკარად დაინახეს, რომ მოცემულ ტერიტორიას ანექსია ემუქრება და პროტესტს გამოთქვამენ. შეიძლება ასე ვთქვათ?***

– აბსოლუტურად სწორ კონტექსტში სვამთ კითხვას. 45-პუნქტიანი გეგმის შესრულება 3-4 წელზეა გათვლილი. ლოკალურ დონეზე მცირე პროტესტს გამოთქვამდნენ. პროტესტის თვალსაზრისით, ახლა საქმე იმანაც გაადვილა, რომ არც ერთი პუნქტი დღემდე შესრულებული არ არის. იქ დეფაქტო პარლამენტს და ზოგიერთ ე.წ. სამინისტროსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილებები. ენერგეტიკის კუთხით, ქვესადგურების პრივატიზაცია უნდა მომხდარიყო. ფისკალური პოლიტიკის საკითხებში დაზუსტება იყო საჭირო, მაგრამ, ჯერჯერობით, არაფერმა იმუშავა.

მართალია მაშინ პროტესტი არ ყოფილა, მაგრამ ნელ-ნელა გროვდებოდა, გროვდებოდა და ახლა, როცა დაინახეს, არა მარტო აფხაზეთისა და საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ მარგალიტს, ბიჭვინთის ადგილმდებარეობასა და საკურორტო ზონას ართმევენ, მიხვდნენ, რომ საქმე სასაცილოდ და სახუმაროდ არ არის – რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთის რუკიდან გაქრობას ემსახურება.

აფხაზეთში არიან ძალები, ჯერჯერობით, სუსტი (დიდი გავლენა არ აქვთ), მაგრამ ფიქრობენ, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, რუსეთი გეოპოლიტიკური კრახისკენ მიდის და საფლავში ჩაყოლა აფხაზეთს არ არგებს. ამას მოუწოდებენ და ამაზე ლაპარაკობენ. ისინი პროტესტს ჩუმად აცხადებენ იმიტომ, რომ იქ ტერორი მაღალ დონეზეა. იმ ადამიანებს მოიშორებენ იმისათვის, თუ საქართველოს მისამართით თუნდაც იოტისოდენა კეთილგანწყობას გამოავლენენ. ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩუმად ადამიანური ურთიერთობების სულ სხვა მომენტებია.

***– ზოგიერთის პოსტში ვკითხულობთ, რომ აფხაზური საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ დადებითისკენაა შეცვლილი იმისგან განსხვავებით, რაც ადრე იყო.***

– მე ამას კატეგორიულად არ ვეთანხმები. აფხაზეთში წესიერი და საღად მოაზროვნე აფხაზები მაშინაც იყვნენ, ოღონდ ჩუმად იყვნენ. ჩვენი გამოდევნიდან 1-2 წელი იყო გასული, როცა ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენი გამოდევნა შეცდომა იყო, ეს არ უნდა გაკეთებულიყო. დღეს აფხაზეთში არ არის ძალა, ან იმ ძალის წარმომადგენელი, რომელიც ხმამაღლა გაბედავს ამის თქმას. ასეთი ძალები არ არის.

რამდენი წელი უნდა ვიცხოვროთ, რომ ამას მივხვდეთ. 30 წელი არ არის საკმარისი, რომ ასეთი გულუბრყვილო დამოკიდებულება არ გვქონდეს? ეს მოსაზრებები იქ არ მუშაობს. ნათესავები მყავს, აფხაზებიც, ქართველებიც, რომლებიც იქ ცხოვრობენ. ვადასტურებ, რომ დამოკიდებულება შეცვლილია. სად 1993 წლის დამოკიდებულება და სად – ახლანდელი.

მე ყოველთვის მოვუწოდებ ამ საქმეში ჩართულ ჩვენს ფედერალურ უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სახალხო დიპლომატიის ცნობილ ჯგუფებს, ხელი შევუწყოთ აფხაზური საზოგადოების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ამჟამად მხარდაჭერა სჭირდებათ, რათა თავიანთი აზრები უფრო საჯარო გახადონ.

***– ანუ აფხაზურ საზოგადოებაში არის ჯგუფები, რომლებთანაც გვექნება კავშირი, იქ მათი გავლენის გაფართოვებას ხელი შეიძლება შევუწყოთ და საჭირო დროს შეიძლება დავეყრდნოთ?***

– მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ (თუმცა, მცირერიცხოვანია) ასეთი ჯგუფები არსებობს, მაგრამ დღეის მსგომარეობით, ვერ ვხედავ შესაძლებლობას და მათ მზაობას (ჩვეულებრივი ადამიანური შიშიდან გამომდინარე), მათ ხმამაღლა განაცხადონ, ან რამე დაგეგმონ ქართულ, თბილისურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, იგივე სხვა ჯურისა და მოწადინების ორგანიზაციებთან გაცხადებული ურთიერთობების თაობაზე.

ჯერჯერობით, სოხუმისა და თბილისის წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ერთმანეთს ხვდებიან, მაგრამ ეს პოლიტიკური დარეგულირების საკითხში დინამიკის მინიჭების თვალსაზრისით, დღეის მდგომარეობით, სამწუხაროდ, არაფერს ცვლის.

## ვარკეთილში მეეზოვეს ავტომობილი დაეჯახა — ქალი ადგილზე გარდაიცვალა




ვარკეთილში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ე.წ. სვანების ბაზრობასთან მსუბუქი ავტომობილი ქალს დაეჯახა, რის შედეგადაც ქვეითი ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ქალი მეეზოვედ მუშაობდა.

როგორც „მთავარი არხის" ვებგვერდს შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება.

## „არ გვჯერა, რომ თავი მოიკლა" — ასელ აიტპაევას საქმეზე ყაზახეთში გამოძიება გრძელდება



თბილისში საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ყაზახი გოგოს, ასელ აიტპაევას საქმეზე ყაზახეთში გამოძიება ისევ გრძელდება. ყაზახეთის სასამართლომ მურად მეირბეკოვს გაუპატიურებისა და ადამიანებით ვაჭრობის ბრალდებით 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, თუმცა გამოძიება მკვლელობის მუხლითაც მიმდინარეობს.

გარდაცვლილის დედა დარწმუნებულია, რომ მისი შვილი მოკლეს, რაშიც ოჯახის ნათესავს, მურად მეირბეკოვს ადანაშაულებს.

„დამტკიცდა ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით, გაუპატიურების ეპიზოდი ექსპერტიზითაც დადასტურებული იყო, რადგან ასელის ცხედარზე მეირბეკოვის დნმ-ის კვალი აღმოჩნდა, ჩვენ არ გვჯერა რომ ჩვენმა ქალიშვილმა თავი მოიკლა, ვფიქრობთ, რომ ის მოკლულია და დარწმუნებულები ვართ, რომ ამაში მურადსაც მიუძღვის კვალი. წარმოდგენა არ გვქონდა რომ მურადი ადამიანებით ვაჭრობდა, ის გვეუბნებოდა, რომ მანქანები გადაჰყავდა. ეს საქმე ბოლომდე არ არის დამთავრებული, საქმე მკვლელობის მუხლითაც მიმდინარეობს და მურადი მკვლელობის მუხლითაც უნდა მიეცეს პასუხისგებაში" — ამბობს გარდაცვლილის დედა, აისუს აეტპაევა.

ოფიციალური ვერსიით, 26 წლის ყაზახმა გოგონამ ასელ აიტპაევამ 5 მაისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შსს-მ 6 მაისს დააკავა ბრალდებული, 57 წლის ბესიკ თოდუა, რომელმაც გამოძიების ინფორმაციით, ის გააუპატიურა. პროკურატურამ კი დაკავებულს ბრალი 7 მაისს წარუდგინა. ბრალდებულს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

14 მაისს პროკურატურამ ბრალი კიდევ ერთ პირს, ასელ აიტპაევას ნათესავს, მურად მეირბეკოვსაც წარუდგინა. საგამოძიებო უწყების ცნობით, მეირბეკოვმა, რომელმაც ასელ აიტპაევა საქართველოში სამუშაოდ ჩამოიყვანა, გოგონაზე რუსთავში 2-ჯერ იძალადა. უწყება მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს, 2-ჯერ გაუპატიურებას ედავება. დანაშაული 6-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლომ მეირბეკოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. პროცედურულად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 15 დღე აქვს იმისთვის, რომ ყაზახეთის მთავრობას მეირბეკოვის ექსტრადირების მოთხოვნით მიმართოს.

ასელ აიტპაევას ოჯახი კი დარწმუნებულია, რომ მურად მეირბეკოვმა გოგონა საქართველოში მოტყუებით ჩამოიყვანა, იძალადა, გაყიდა, შემდეგ კი მოკლა. 26 წლის ყაზახი ქალის ოჯახის წევრები მოითხოვენ, რომ საქმეს კიდევ ერთი, ტრეფიკინგის მუხლიც დაემატოს.

## ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს



ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღკვეთეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ქუთაისის აეროპორტი", მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, ყაზახეთისა და საბერძნეთის მოქალაქეების როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 524,94 გრამი) გამოვლინდა.

– არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 42 154,61 ლარი შეადგინა. საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით ჯარიმა, ჯამში 42 154,61 ლარის ოდენობით შეეფარდათ, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

### საერთაშორისო

## მოქალაქეები ხერსონს და მიმდებარე ტერიტორიებს დატოვებენ




სავარაუდოდ, ჩვენ ვიხილავთ მოქალაქეების გაზრდილ მცდელობებს, რომ ხერსონი და მიმდებარე ტერიტორიები დატოვონ, რადგან საომარი მოქმედებები გრძელდება და საკვების დეფიციტი იქმნება, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს რუსეთ-უკრაინის ომის შესახებ სადაზვერვო ანგარიშშია აღნიშნული.

უწყების ცნობით, რუსული ძალები ანტონოვსკის ხიდზე ახლად შექმნილ საბორნე გადასასვლელს ჯარების მოძრაობისა და მომარაგებისთვის გამოიყენებენ.

„სამხრეთ უკრაინაში, ხერსონის ოლქში რუსულ მატარებელზე თავდასხმის შემდეგ, ნაკლებად სავარაუდოა, რომ სარკინიგზო ხაზი ფუნქციონირებდეს. სარკინიგზო ხაზს რამდენიმე დღეში შეაკეთებენ, თუმცა ის რუსული ძალებისთვის და ყირიმიდან ხერსონისკენ მათი ლოჯისტიკური მარშრუტისთვის დაუცველი დარჩება. სავარაუდოდ, ჩვენ ვიხილავთ მოქალაქეების გაზრდილ მცდელობას, რომ ხერსონი და მიმდებარე ტერიტორიები დატოვონ, რადგან საომარი მოქმედებები გრძელდება და საკვების დეფიციტი იქნება. ეს სატრანსპორტო კვანძებსა და მარშრუტებზე ზეწოლას გამოიწვევს" – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## იტალიის დეპუტატთა პალატამ, 398 ხმით 20-ის წინააღმდეგ, ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების რატიფიცირება მოახდინა



იტალიის დეპუტატთა პალატამ, 398 ხმით 20-ის წინააღმდეგ, ნატოში ფინეთისა და შვედეთის გაწევრიანების რატიფიცირება მოახდინა. ინფორმაციას სააგენტო „როიტერსი" ავრცელებს.

კანონპროექტს ახლა საბოლოო მწვანე შუქი სენატისგან სჭირდება.

ცნობისთვის, ფინეთისა და შვედეთის ნატოში გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის 30-ვე წევრი ქვეყნის პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

## კანონდარღვევით მოქმედი 22 აფთიაქი გამოავლინეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ქალაქ თბილისსა და აჭარის, სამეგრელოს, იმერეთისა და კახეთის რეგიონებში გამოვლენილ იქნა კანონდარღვევით მოქმედი 22 აფთიაქი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული აფთიაქები, შესაბამისი ნებართვისა და სანებართვო პირობების დარღვევით, რეცეპტის გარეშე, ახდენდნენ სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებზე პასუხისგებაში მიეცა 13 იურიდიული და 43 ფიზიკური პირი.

„საგამოძიებო სამსახური აგრძელებს აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის" ფაქტების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, 2022 წლის განვლილ პერიოდში, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისსა და აჭარის, სამეგრელოს, იმერეთისა და კახეთის რეგიონებში გამოვლენილ იქნა კანონდარღვევით მოქმედი 22 აფთიაქი, რომლებიც შესაბამისი ნებართვისა ან/და სანებართვო პირობების დარღვევით, რეცეპტის გარეშე, ახდენდნენ სხვადასხვა დასახელების ფსიქოტროპული და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტების რეალიზაციას.

გამოძიების პროცესში ზემოაღნიშნული ობიექტებიდან ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით მედიკამენტი.

დადგინდა, რომ აფთიაქების ხელმძღვანელებმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიიღეს ასეულობით ათასი ლარის შემოსავალი.

უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცა 13 იურიდიული და 43 ფიზიკური პირი, რომელთა შორის სამი – წარსულში ნასამართლევია აღნიშნული დანაშაულის ჩადენისთვის და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით აკრძალული აქვთ ფარმაცევტული საქმიანობა.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით" – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## მუხთარლი თბილისში ჩამოსვლას აპირებს



აზერბაიჯანელი ჟურნალისტი, აფგან მუხთარლი მომავალ კვირას საქართველოში ჩამოვა. ის მისი საქმის გამოძიების განახლებას ოფიციალურად მოითხოვს. ჟურნალისტი პროკურატურისგან სოსო გოგაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დაკითხვას მოითხოვს.

„თბილისში მომდევნო კვირას ჩამოვალ. მივმართავ პროკურატურას, რომ დაკითხონ სოსო გოგაშვილი, ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მაღალ თანამდებობას იკავებდა და ყველაფრის შესახებ ინფორმირებულია. მისი ჩვენება სტრასბურის სასამართლოშიც მნიშვნელოვანი იქნება. ასევე, მოვითხოვ, დაკითხონ ბიძინა ივანიშვილი, რომლის უშუალო დავალებით გამიტაცეს. დიახ, მან გასცა ბრძანება ჩემი გატაცების შესახებ, რაშიც 4 უწყება მონაწილეობდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის დღევანდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს, რომელიც იმ დროს სახელმწიფო უსაფრთხოების ხელმძღვანელი იყო. გომელაურმა შეასრულა ივანიშვილის ბრძანება. ყველა ეს მტკიცებულება აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ დაისაჯონ, როგორც დავალების გამცემი ასევე შემსრულებლები„, – ამბობს მუხთარლი.

ცნობისთვის, აფგან მუხთარლი საქართველოდან 2017 წლის 29 მაისს გაიტაცეს, ის აზერბაიჯანში 30 მაისს დააპატიმრეს. მუხთარლი წლებია ითხოვს საქართველოდან მისი გატაცების სრულყოფილად გამოძიებას და ამტკიცებს, რომ ამ სპეცოპერაციაში პირად იყვნენ ჩართული გავლენიანი ქართველი მაღალჩინოსნები და მისი უფლებების უხეშად შელახვისთვის სტრასბურის სასამართლოშიც ჩივის.

## საიამ სასამართლოს მიმართა




„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ევროპულ სასამართლოში არასათანადო მოპყრობის საქმე წარადგინა. ორგანიზაციის ცნობით, საქმეში იკვეთება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლებით დაცული უფლებების დარღვევა.

საქმე ეხება 2019 წლის 15 აპრილს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთში მცხოვრები ზვიად მთავრიშვილის მიმართ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო ძალადობასა და აღნიშნულის შედეგად გარდაცვალებას.

„მედიაში გავრცელებული და, ასევე, გარდაცვლილის ოჯახის წევრების ინფორმაციით, 2019 წლის 22 მარტს, ოჯახში შეკამათების შემდგომ, პოლიციის თანამშრომლები მათთან სახლში მივიდნენ. გარდაცვლილის დის განმარტებით, ოთახში შესვლისთანავე, პოლიციის თანამშრომლები ზვიადს უხეშად მიმართავდნენ. პოლიციელებმა მთავრიშვილი თელავის პოლიციის შენობაში გადაიყვანეს. სახლში დაბრუნებისას, ზვიად მთავრიშვილი უჩიოდა თავის ტკივილს და აცხადებდა, რომ პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ და თავის არეში მიაყენეს დაზიანებები. ზვიად მთავრიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მეორე დღიდანვე გაუარესდა, კერძოდ, მას დაეწყო ძლიერი თავის ტკივილები და მეხსიერებასთან დაკავშირებით პრობლემები. 2019 წლის 1 აპრილს იგი გურჯაანში მდებარე საავადმყოფოში უგონო მდგომარეობაში გადაიყვანეს, სადაც დაესვა დიაგნოზი – ტრავმული სუბდურული სისხლჩაქცევა, კომა. იმავე დღეს ზვიად მთავრიშვილი ქ. თბილისში, ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში მოათავსეს. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცემულ ცნობაში მითითებულია, რომ ზვიად მთავრიშვილს დაუდგინდა „კომა, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, მარცხენა დიდი ჰემისფეროს ტრავმული სუბდურული ჰემატომა, თ/ტ დაჟეჟილობა, შუამდებარე სტრუქტურების ცდომით, სუნთქვის მწვავე უკმარისობა." 2019 წლის 15 აპრილს ზვიად მთავრიშვილი საავადმყოფოშივე გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ კომაში ჩავარდნამდე, ზვიად მთავრიშვილმა მის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შესახებ, ასევე, უამბო მის მეზობლებსა და ნათესავებს" – წერია განცხადებაში.

საია-ს ცნობით, კახეთის საოლქო პროკურატურა საქმეს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (უფლებამოსილების გადამეტება) იძიებს, რაც მათი შეფასებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ წლების განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საგამოძიებო ორგანოების მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტების სწორი კვალიფიკაცია.

ორგანიზაცია წერს, რომ მიუხედავად არაერთი მიმართვისა და საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო პროცესის ნაკლოვანებების შესახებ გენერალური პროკურატურის ინფორმირებისა, დღემდე, დაზარალებულის უფლებამონაცვლის წერილები/განცხადებები/შუამდგომლობები უმეტესწილად რჩება უპასუხოდ, ხოლო, რიგ შემთხვევებში, მათზე პასუხი შაბლონურია და არ შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას. გარდა ამისა, საია-ს ცნობით, საგამოძიებო ორგანომ დღემდე ვერ უზრუნველყო შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, ხოლო ჩატარებული საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები კი, მთელი რიგი ხარვეზებით ხასიათდება.

# ჩინეთი ავიაკომპანიებს აფრთხილებს, ტაივანის ცაზე არ იფრინონ



ჩინეთმა აზიაში მოქმედ ავიაკომპანიებს მოუწოდა, რომ თავი აარიდონ ტაივანის ცაზე ფრენებს, სადაც ოფიციალური პეკინი ამჟამად სამხედრო წვრთნებს აწარმოებს. ჩინეთმა ამ საკითხთან დაკავშირებით, ავიაკომპანიებს ოფიციალური შეტყობინება 2 აგვისტოს გაუგზავნა. შეტყობინებაში საჰაერო სივრცის ექვსი რეგიონი „საშიში ზონად“ იყო განსაზღვრული.

წვრთნების გამო, ფრენები 7 აგვისტოს, 12:00 საათამდე შეიზღუდება.

ცნობისთვის, 2 აგვისტოს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ტაივანში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა.

# ალექსეი არესტოვიჩი: „უკრაინას აღჭურვილობა კატასტროფულად არ ჰყოფნის“



უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მრჩეველი, ალექსეი არესტოვიჩი აცხადებს, რომ უკრაინას აღჭურვილობა „კატასტროფულად არ ჰყოფნის“.

მისი თქმით, უკრაინის შეიარაღებული ძალები არ არის სრულყოფილად მომარაგებული და აღჭურვილი რუსეთისთვის ზიანის მისაყენებლად.

არესტოვიჩმა ასევე განაცხადა, რომ სრულფასოვანი და ეფექტური შეტევისთვის არ გააჩნიათ საკმარისი მძიმე ტექნიკა. მისივე თქმით, პოლონეთის მსგავსად, უკრაინისთვის დახმარების ხელი სხვა დასავლურ სახელმწიფოებსაც რომ გაეწვდინათ, უკრაინელები უკვე ვლადივასტოკში იქნებოდნენ.

# ყოფილი გენერალური პროკურორი ირინა ვენედიქტოვა შვეიცარიაში უკრაინის ელჩად დაინიშნება



უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შუამდგომლობას, რომ ყოფილი გენერალური პროკურორი ირინა ვენედიქტოვა შვეიცარიაში უკრაინის ელჩად დაინიშნოს, ხელი მოაწერა. ამის შესახებ კულებამ Ukrinform-თან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„დიახ, ვენედიქტოვას შვეიცარიის ელჩად დანიშვნის შესახებ შუამდგომლობას ხელი მოვაწერე“ – განაცხადა კულებამ.

მან აღნიშნა, რომ პოლიტიკოსების დიპლომატიურ თანამდებობებზე დანიშვნის პრაქტიკა ყველა ქვეყანაში არსებობდა, რადგან „საჭიროა ახალი სისხლის, ახალი აზრებისა და შეხედულებების შემოდინება“.

ცნობისთვის, 19 ივლისს უკრაინის უმაღლესმა რადამ ვენედიქტოვას უკრაინის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებას მხარი დაუჭირა.

# ნენსი პელოსი ტაივანის პრეზიდენტს შეხვდა



ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი ოფიციალური ვიზიტით ფარგლებში ტაივანის პრეზიდენტ ცაი ინ-ვენს შეხვდა.

შეხვედრისას ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ აშშ ტაივანს არ მიატოვებს.

– ტაივანის მიმართ სოლიდარობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია და დღეს ჩვენ ამ მესიჯით ჩამოვედით ტაიპეიში, – განაცხადა ნენსი პელოსიმ.

წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ ტაივანი აშშ-ის სანდო პარტნიორია და აშშ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე პარტნიორებთან მუშაობას აგრძელებს.

თავის მხრივ, ტაივანის პრეზიდენტმა ნენსი პელოსის ურყევი მხარდაჭერის გამო მადლობა გადაუხადა.

ცნობისთვის, ნენსი პელოსი ტაივანში 2 აგვისტოს ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ ის პირველი ამერიკელი მაღალჩინოსანია, რომელიც ბოლო 25 წლის მანძილზე ტაივანში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. ჩინეთმა ამერიკის შეერთებული შტატები გააფრთხილა, რომ პელოსის ტაივანში ჩასვლა საფრთხეს შეუქმნის ჩინეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, გააუარესებს ურთიერთობას ვაშინგტონთან და სერიოზულ შედეგებს გამოიწვევს ჩინეთის მხრიდან.

# 24 თებერვლიდან 3 აგვისტომდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 41 350 რუსი ჯარისკაცი მოკლეს



უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განცხადებით, 24 თებერვლიდან 3 აგვისტომდე პერიოდში, უკრაინულმა ძალებმა 41 350 რუსი ჯარისკაცი მოკლეს.

მათივე ცნობით, უკრაინელმა დამცველებმა გაანადგურეს მტრის 1 774 ტანკი, 4 022 ჯავშანტექნიკა, 939 საარტილერიო სისტემა, 259 ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 118 საჰაერო თავდაცვის სისტემა, 223 თვითმფრინავი, 191 ვერტმფრენი, 739 ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატი, 174 ფრთოსანი რაკეტა, 15 გემი/ნავი, 2 922 ერთეული სატრანსპორტო საშუალება და საწვავის ავზი, ასევე 82 ერთეული სპეცტექნიკა.

# აშშ-ის ელჩი ნიკოლას ბერნსი ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს



ტაივანში შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერის, ნენსი პელოსის ვიზიტის გასაპროტესტებლად, აშშ-ის ელჩი ნიკოლას ბერნსი ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს.

ოფიციალური პეკინი აცხადებს, რომ პელოსის „ვიზიტის ბუნება უკიდურესად მანკიერია, „შედეგი ძალიან მძიმეა“ და „ჩინური მხარე გულხელდაკრეფილი არ იქნება“.

ჩინეთის საგარეო უწყებამ აღნიშნა, რომ აშშ-ს მთავრობას უნდა შეეკავებინა პელოსის არაკეთილსინდისიერი ნაბიჯი და ხელი შეეშალა მისთვის „ისტორიული ტენდენციის წინააღმდეგ წასვლისგან“.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შიეი ფანის თქმით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარი შეცდომისთვის ფასი უნდა გადაიხადოს.

„ჩინეთი მიიღებს აუცილებელ და მტკიცე კონტრზომებს და ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რასაც ვამბობთ“ – დასძინა შიეი ფანმა.



# მიკოლაევში ძლიერი აფეთქებები მოხდა

მიკოლაევის მერ ალექსანდრ სენკევიჩის განცხადებით, ქალაქში ძლიერი აფეთქებები მოხდა. მისი თქმით, აფეთქებების სერიის ხმა დილის ხუთ საათზე გაისმა.

აფეთქებების შედეგად ხანძარი გაჩნდა ქალაქის ერთ-ერთ უბანში. სამაშველო სამსახურებმა შენობიდან მცხოვრებლები გამოიყვანეს.



# 18 წლამდე ნაკრებმა შანსი დაიტოვა



ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის B დივიზიონში საქართველოს ნაკრებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. დავით როგავასა და კახა ტომარაძის გაწვრთნილმა ჩვენმა გუნდმა ბოსნია-ჰერცოგოვინა ანგარიშით 79:75 დაამარცხა. შეგახსენებთ, რომ ტურნირი რუმინეთის ქალაქ პლოეშტში მიმდინარეობს. 3 მოგებითა და ერთი წაგებით ქართველები B ჯგუფის ლიდერები არიან.

თამაშმა საკმაოდ დაძაბულად ჩაიარა და გამარჯვებულის ვინაობა მხოლოდ ბოლო წუთზე გაირკვა. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელ ტურში მარცხი იწვნია ქართველების მომგებმა ბულგარეთმა, რომელსაც ნიდერლანდებმა 70:66 აჯობა. ამით კი ის გაირკვა, რომ ქართველებს ბოსნია-ჰერცეგოვინელების ნებისმიერი ანგარიშით დამარცხება აძლევდა ხელს.

თუმცა ბოსნიელების ძლევით ჯერ მხოლოდ ჯგუფიდან გასასვლელად ხელსაყრელ პოზიციაში ჩავდექით. შემდეგ ეტაპზე, მეოთხედფინალში რომ გავიდეს, საქართველოს ნაკრებს ჯგუფის ბოლო მატჩში ნიდერლანდების დამარცხება მართებს.

ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ საუკეთესო შედეგი გიორგი ოჩხიკიძემ დააფიქსირა, რომელმაც 27 ქულა, 3 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 7 პასი მიითვალა. 14 ქულა გიორგი სულაბერიძის ანგარიშზეა. 10-10 ქულა მოაგროვეს ლუკა ლომთაძემ და ლუკა კუჭუხიძემ, ვის ანგარიშზე დამატებით 9 მოხსნაც დაგროვდა. 9 ქულა მოუტანა გუნდს ლუკა ალავიძემ.

საქართველოს ნაკრები შემდეგ შეხვედრას ნიდერლანდებთან გამართავს და ეს იქნება, როგორც იტყვიან, ყოფნა-არყოფნის მატჩი.

# საქართველო იგებს და ლიდერებშია



საქართველოს ქალთა ნაკრები ოლიმპიადას ისევ ქულა დაუკარგავად აგრძელებს. მე-5 ტურში ჩვენებმა მასპინძელთა მეორე ნაკრები 3:1 დაამარცხეს. პარტიები მოიგეს ლელა ჯავახიშვილმა და მერი არაბიძემ, ხოლო ნანა ძაგნიძე და ნინო ბაციაშვილი მეტოქეებს ყაიმზე შეუთანხმდნენ.

5 ტურის შემდეგ საქართველოს ქალთა ნაკრებს 5 მოგება აქვს და ინდოეთის პირველ და რუმინეთის ნაკრებ გუნდებთან ერთად 1-3 ადგილებს იყოფს. 9-9 ქულა აქვთ უკრაინას, აზერბაიჯანსა და ყაზახეთს.

მეექვსე ტურში ჩვენებს ოლიმპიადის ერთ-ერთი მთავარი მატჩი ელით – მასპინძელ ინდოეთის ნაკრებთან.

ვაჟთა ნაკრების მეტოქე პარაგვაის ნაკრები იყო და ჩვენებმა დამაჯერებლად იმარჯვეს – 3.5:0.5. ბაადურ ჯობავამ, ლუკა პაიჭაძემ და ლევან ფანცულაიამ მომგებიანი პარტიები ჩაატარეს, ხოლო მიხეილ მჭედლიშვილმა შეხვედრა ყაიმით დაასრულა.

ტურნირს 10-10 ქულით ინდოეთის მეორე გუნდი და სომხეთი ლიდერობენ; 9-9 ქულა აქვთ – ინდოეთის პირველ, ამერიკის, კუბის, ირანისა და უზბეკეთის ნაკრებებს. შემდეგ 8 ქულით ჩვენები არიან, საკმაოდ დიდ ჯგუფთან ერთად. მეექვსე ტურში საქართველო ნიდერლანდებს ეთამაშება.

# გიორგი ცინცაძე მონასტირში წავიდა




საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე კარიერას ტუნისის გუნდ მონასტირში გააგრძელებს. ნაკრების რეკორდსმენი, ჩატარებული თამაშების მხრივ, რეკორდსმენია კლუბების მხრივაც – ცინცაძისთვის აფრიკული გუნდი კარიერაში 26-ეა. ქართულის გარდა, ცინცაძე რუსული, ესტონური, უკრაინული, პოლონური, ლიბანური, ჩრდილომაკედონიური, ფრანგული, რუმინული, კატარული და არაბეთის გაერთიანებული საამიროების კლუბების ღირსებას იცავდა.

რაც შეეხება მის ახალ, ტუნისის გუნდს, მონასტირი აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესოა. გასულ სეზონში ადგილობრივი ჩემპიონთა თასის გამარჯვებულიც გახდა. ტუნისურმა კლუბმა ფინალში ანგოლურ პეტრო დე ლუანდას 83:72 სძლია, საუკეთესო კი საქართველოს ნაკრების ყოფილი ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი მაიკლ დიქსონი იყო, რომელმაც 21 ქულა ჩააგდო. გასაკვირი არ ყოფილა, რომ ფინალის უძვირფასეს მოთამაშედაც (მვპ) აღიარეს. დარჩება თუ არა დიქსონი მომავალ სეზონშიც ტუნისში, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

მონასტირი ტუნისის გასული სეზონის ჩემპიონია, ჯამში კი, ეს ტიტული 7-ჯერ აქვს მოგებული. გუნდმა გასულ სეზონში რეგულარული პირველობა მე-2 ადგილზე დაასრულა, მაგრამ, ფლეი ოფში შეუჩერებელი იყო და ფინალში ეზაჰრას 3:1 სძლია.

შეგახსენებთ, რომ მძიმე ტრავმის გამო, გიორგის ხანგრძლივი პერიოდი გაუცდა, ამჟამად კი, მწყობრში გახლავთ და საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრებაზე იმყოფება. მისი რეაბილიტაციის პროცესი დასრულებულია და ახლა ცინცაძე ფორმაში შესასვლელად ყველაფერს აკეთებს, რათა ნაკრებს მომავალ – მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო და ევრობასკეტის მატჩებში დაეხმაროს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი



### კრისტინა აგილერამ ფანები ბიკინიში გადაღებული საკუთარი ფოტოსურათებით გაახარა

ამერიკელმა მომღერალმა კრისტინა აგილერამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა თავისი ახალი ფოტოსურათები და თაყვანისმცემლები გაახარა.

თეთრ ბიკინიში გამოწყობილმა 41 წლის მომღერალმა ფოტოსურათები რამდენიმე ადგილას გადაიღო. პოპშემსრულებელი პოზირებდა აუზსა და შეზლონგზე გაშლილი თმითა და უმაკიაჟოდ. ერთ ფოტოზე კი ის ღია ფერის ოვერსაიზ-პერანგში გამოწყობილია აღბეჭდილი.

მისი გვერდის ხელმომწერები აგილერას გარეგნობამ აღაფრთოვანა და საკუთარ კომენტარებში ქების სიტყვები არ დაიშურეს მომღერლის მისამართით, რომლის ფოტოსურათებმა 200 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

### შვებულებიდან დაბრუნებულმა ქალმა საკუთარ ბარგში მორიელები აღმოაჩინა



ავსტრიელი ხორვატიაში გატარებული შვებულებიდან სახლში დაბრუნდა და მოულოდნელად საკუთარ ბარგში 18 მორიელი აღმოაჩინა.

ადრიატიკის ზღვიდან ავსტრიის კომუნა ნატერბახში დაბრუნებულმა ქალმა საკუთარი ბარგის გახსნა დაიწყო. ჩანთის გახსნის შემდეგ მან მორიელების მთელი ოჯახი აღმოაჩინა. სავარაუდოდ, ეს იყო მდედრი მორიელი თავისი 17 ნაშიერით.

ქალმა ბარგში აღმოჩენილი მორიელები ცხოველთა გადარჩენის სპეციალისტებს გადასცა, მათ კი მათი სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტეს. ამჟამად მორიელების ოჯახი გარეული ცხოველების მხარდამჭერ ცენტრში იმყოფება და მშობლიურ ხორვატიაში დაბრუნებას ელის.

### ნიანგმა ქალი მისი ნათესავების თვალწინ მოკლა



მალაიზიის ქალაქ კინაბატანგანში მდინარეზე ოჯახთან ერთად თევზაობის დროს ქალს თავს ნიანგი დაესხა და დაგლიჯა.

მტაცებელი რეპტილია 32 წლის ნორსილა საიონგს ნათესავების თვალწინ დაესხა თავს. ისინი შეეცადნენ, ქალი ნიანგის ყბებიდან დაეხსნათ, მაგრამ ის მეტისმეტად ღონიერი და სწრაფი აღმოჩნდა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ რეპტილიის თავი საშუალო ზომის ნავს გაუტოლდებოდა. დაღუპული ქალის ცხედარი იმ ადგილიდან დაახლოებით 800 მეტრში იპოვეს, სადაც ქალი ბოლოს შენიშნეს. მაშველებმა სხეულის გადარჩენილი ნაწილები წყლიდან ამოიტანეს და ექსპერტიზის ჩასატარებლად პოლიციას გადასცეს. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, მათ რამდენჯერმე შენიშნეს აღნიშნული ნიანგი იმ მიდამოებში. სახიფათო რეპტილიის დასაჭერად შემთხვევის ადგილზე სპეციალისტებს გააგზავნიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ჯეფერსონ ჯერალდო: „საქართველო ძალიან მიყვარს“

ქართული გუნდებისთვის ევროსეზონი დასრულდა და ახლა ეროვნულ ლიგაზე გადაერთვებიან. ელიგაში კი, ერთ-ერთი საინტერესო გუნდი წყალტუბოს სამგურალია, რომელიც სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა.

თუმცა, ეროვნულ ლიგამდე გუნდებს საქართველოს თასი ელოდებათ. სამგურალი, რომელმაც ევროტურნირების დროს არსებული პაუზით ისარგებლა და შეკრება თურქეთში გაიარა, თბილისის ლოკომოტივის მე-2 გუნდს შეხვდება.

წყალტუბოელთა ერთ-ერთი ლიდერი ბრაზილიელი ჯეფერსონ ჯერალდოა, რომელიც საქართველოში 2016 წლიდან თამაშობს და ქართულად საუბარიც შეუძლია. ჯეფინიო იმერულ გუნდში ქობულეთის შუქურად წლეულს გადმოვიდა და სამგურალისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. მიმდინარე ჩემპიონატში 4 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასიც გააკეთა.

***– მოგვიყევი, სად თამაშობდი და საქართველოში როგორ აღმოჩნდი?***

– ბრაზილიაში ჩემი პირველი გუნდი ტიგრეს დუ ბრაზილი იყო. კარიოკას შემადგენლობაში კი, ბრაზილიის უმაღლეს ლიგაშიც ვითამაშე. იმ პერიოდში ისეთი ცნობილი ვარსკვლავების წინააღმდეგ მითამაშია, როგორებიც რონალდინიო, ანდრიანი და ჟუნინიო პარამბუკანო იყვნენ. სამშობლოდან წასვლის შემდეგ 6 თვე ნიკარაგუაში ვასპარეზობდი, საიდანაც კვიპროსის ეთნიკოსში გადავედი. შემდეგ კი, საქართველოს ჩემპიონატში, ქობულეთის შუქურაში ჩამოვედი.

***– 6 წელიწადია საქართველოში თამაშობ, რას ფიქრობ ქართულ ფეხბურთსა და საქართველოს ჩემპიონატზე?***

– ქართველები ტექნიკურები და ჭკვიანები არიან, იციან ფეხბურთის თამაში. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ, აქ, საკმაოდ კარგი სისწრაფეებია, სწრაფად გადადიან დაცვიდან შეტევაში და პირიქით. ბრაზილიის ჩემპიონატში კი, უფრო მეტად ტექნიკურ და კომბინაციურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. საქართველო პატარა ქვეყანაა და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს, მაგრამ უმრავლესობა ჩემპიონატს ადრე ტოვებს. თუ ქართულ ფეხბურთში შედარებით მეტი ინვესტიცია ჩაიდება, არის პერსპექტივა, რომ ჩემპიონატის დონემ მნიშვნელოვნად მოიმატოს.

***– სამგურალში ახალი სეზონის დაწყებამდე გადახვედი, რას იტყვი შენს ახალ კლუბზე, როგორ მოგწონს იქ თამაში?***

– სამგურალში პირველ სეზონს ვატარებ და ძალიან მომწონს. ძლიერი გუნდი გვყავს, კარგ სეზონს ვატარებთ. მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც პროფესიონალები არიან. ბევრს შრომობენ, რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ. ყველა დეტალს მაქსიმალური ყურადღებით ეკიდებიან და საერთო ჯამში ამას კარგ შედეგამდე მივყავართ. იგივეს ვიტყოდი გუნდის სტაფზე – სამგურალში საქმის მცოდნე, მშრომელი ადამიანები მუშაობენ. ექიმი, მასაჟისტები, ადმინისტრატორი თუ სხვა, დაუღალავად მუშაობენ და გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ.

***– სამგურალი 20 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეულშია. შენი აზრით, რა იქნება გუნდის მაქსიმუმი მიმდინარე სეზონში?***

– განვლილმა შეხვედრებმა დაგვანახა, რომ კარგი ფეხბურთის თამაში და სტაბილურად ასპარეზობა შეგვიძლია. თუკი, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე ასე გავაგრძელებთ, დიდი შანსია, რომ ევროტურნირებზე გავიდეთ. ამის რესურსი გვაქვს და მიზნის მისაღწევად ყველაფერს გავაკეთებთ.



***– ამპლუით ცენტრალური ნახევარმცველი ხარ, მაგრამ მიმდინარე სეზონში რამდენიმე მატჩში ცენტრფორვარდის პოზიციაზეც ითამაშე და ძალიან კარგადაც – იმ მატჩებში 4 გოლი გაიტანე. შენთვის რომელ პოზიციაზე უფრო კომფორტულია თამაში?***

– თავდამსხმელების უკანა და ფორვარდად. თუმცა, ფეხბურთელში ყველაზე მეტად უნივერსალიზმს ვაფასებ. სადაც მწვრთნელს დასჭირდები, იქ უნდა შეგეძლოს თამაში. რა პოზიციაზეც ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი გიორგი მიქაძე გამამწესებს, იქ ვითამაშებ.

***– ქართულმა სპორტულმა მედიამ არაერთხელ შეგიყვანა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. თბილისის დინამოსთან (2:1) მოგებული თამაშის შემდეგ კი, სულაც მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაგასახელეს და ქალაქის მერმა სპეციალური პრიზიც გადმოგცა. რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის ასეთი ყურადღება?***

– რა თქმა უნდა, სასიამოვნო და ამაღელვებელი მომენტია, მაგრამ ეს არ არის მარტო ჩემი დამსახურება, ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა. მარტო ვერაფერს გავხდებოდი.

***– ახლა გუნდის მზადების შესახებ ვისაუბროთ. როგორ ჩაიარა თურქულმა შეკრებამ?***

– მაღალმთიან კურორტზე ვიყავით, ერზრუმთან ახლოს – პალანდოკენში, ძალიან კარგი შეკრება გამოვიდა. შესანიშნავი ადგილია, ზღვის დონიდან 2,200 მეტრზე ვიყავით. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა ვარჯიში, მაგრამ აკლიმატიზაციის გავლის შემდეგ ყველაფერი მწყობრში ჩადგა. რამდენიმე ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ, მწვრთნელმა სხვადასხვა სათამაშო სქემები დაამუშავა. ვნახავთ, როგორ ფორმაში ვხვდებით ჩემპიონატის მე-2 ეტაპს.

***– საინტერესოა შენი თვალით დანახული საქართველო.***

– საქართველო ძალიან მიყვარს. აქ ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს. მეგობრულობით და სითბოთი ბრაზილიელებს შევადარებდი. მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობები, თავისუფალ დროს ხშირად ვატარებ ჩემს მეზობლებთან. მომწონს წყალტუბოში ცხოვრება, ლამაზი, წყნარი ქალაქია, ბევრი სიმწვანით. ხშირად ვსეირნობთ პარკში. მიყვარს ქართული კერძები, განსაკუთრებით ხაჭაპური და მწვადი, ჩემს მეუღლეს კი – ხინკალი.

***– საქართველოზე იმდენად ხარ შეყვარებული, კარიერის დასრულების შემდეგ აქ დარჩენაზე ხომ არ გიფიქრია?***

– ამის თაობაზე ხშირად ვფიქრობ. ბრაზილია მენატრება, მაგრამ საქართველო ისე მიყვარს, ვფიქრობ, რომ საცხოვრებლად აქ დავრჩები და კარიერის დასრულების შემდეგ ბავშვების მწვრთნელად ვიმუშავებ.

# ზუგდიდის დინამო ფედერაციის ბრალდებას უარყოფს

2022 წლის 21 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე განიხილეს უეფას სპორტული სამართლიანობის განყოფილების ანგარიში საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ლიგა 2-ში მოასპარეზე კლუბების ზუგდიდის დინამოსა და საფეხბურთო კლუბ თბილისის შევარდენი 1906-ის ცალკეული მატჩების შედეგებზე თაღლითური ფსონებით ზეგავლენის შესახებ.



სადისციპლინო კომიტეტი უეფას თაღლითური ფსონების ამოცნობის ანგარიშის გარდა გაეცნო მხარეთა ახსნა-განმარტებებს, სფფ-ის სპორტული სამართლიანობის სამსახურის მენეჯერის მიერ თფა-ს ანგარიშის მიხედვით შედგენილ მოხსენებით ბარათსა და მატჩებში საეჭვო ეპიზოდების ვიდეო ჩანაწერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სფფ-ის სადისციპლინო კოდექსის 126-ე მუხლისა და 55 მუხლის თანახმად, ორივე გუნდი ლიგა 2-დან მოკვეთა.

დასჯილი გუნდებიდან ერთ-ერთი, ზუგდიდის დინამო სფფ-ს სადისციპლინო და დავების განმხილველი კომიტეტის გადაწყვეტილებას აპროტესტებს. კლუბის ხელმძღვანელობა პროკურატურას გამოძიების დაწყებას სთხოვს, თუ რის საფუძველზე იქნა მიღებული გამამტყუნებელი გადაწყვეტილება და კლუბისთვის დაწესებული სასჯელის გაუქმებას ითხოვს.

ზუგდიდურ კლუბში იმასაც აცხადებენ, რომ შესაბამისი წერილით უკვე მიმართეს ფიფას და უეფას, სარჩელი შეტანილი აქვთ თბილისის საქალაქო სასამართლოშიც და კომიტეტის გადაწყვეტილების გაბათილებას ითხოვენ.

ზუგდიდის დინამოს პრეზიდენტმა ზაზა ჯანაშიამ და კლუბის ადვოკატმა ჯიმშერ ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართეს, სადაც აღნიშნეს, რომ დინამოსთვის საზიანო გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციამ მიზანმიმართულად მიიღო. ამასთან, კლუბს არ მიეცა თავის მართლების შესაძლებლობა.

**ზაზა ჯანაშია:**

– ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ წინ წავსულიყავით. გუნდი მე-4 ადგილზე მყავდა და იმნაირი შარი მომდეს, რომ ვერ გავიგე, რატომ და რის გულისთვის დაგვჩაგრეს. ჩემთან 60 ადამიანი მუშაობს, რომლებიც უხელფასოდ დატოვეს. ვუთხარი ფედერაციას, რას აკეთებთ, ხალხი უმუშევრად რჩება-მეთქი. არანაირი მტკიცებულება არ აქვთ, ვერანაირი მტკიცებულება ვერ დამიდეს. გუნდი უნდა დაბრუნდეს იქ, სადაც იყო. ყველანაირი დაფინანსება უნდა აღდგეს. ეს არის ჩემი სახელის გატეხვა და ქალაქის შეურაცხყოფა. ეს მარტო ჩემი შეურაცხყოფა კი არ არის. რაც ხალხს უყვარს და გულშემატკივრობენ, მეც იმ საქმეს ვაკეთებდი. როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს ეს არ მოსწონთ. არ ვიცი, რატომ. ის ვიცი, რომ როცა რაღაცას მაბრალებენ, მტკიცებულებაც უნდა დამიდონ.

კლუბის ადვოკატი ჯიმშერ ტყებუჩავა ამბობს, რომ დინამო სადისციპლინო კომიტეტის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება მიღებული არ ჰქონდა, რომ ფედერაციის ფონდიდან დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე წერილი მიუვიდათ.

**ჯიმშერ ტყებუჩავა:**

– მე რა ეჭვი მაქვს? კიდევ ერთხელ ვამბობ – რაც ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, ცნობილი გახდა, კოდექსის და კანონის მიხედვით, ამ წუთას სახალხოდ გაჟღერების უფლება არ მაქვს, მაგრამ არის სერიოზული წყალქვეშა დინებები. ეჭვს გამოვთქვამ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ პროკურატურას მასალები არ გადასცა. ფედერაციაში არის, ან შეიძლება იყოს გუნდი, შეიძლება იყვნენ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც ამ თაღლითურ სისტემაში არიან ჩართულები და ხელს აფარებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ თამაშებს აკეთებენ და უეფასთვის საჩვენებლად დინამო გაწირეს.

გუნდს, ფაქტობრივად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ჩაბარებული არ ჰქონდა, რომ ფედერაციის ფონდიდან წერილი მიიღო, დაქვეითებული ხართ და დაფინანსება შეგიწყდათო. გადაწყვეტილება არ იყო მოსული, წერილი არ იყო აკრეფილი, რომ ფონდის წერილმა დაასწრო. ჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ დინამო არის განტევების ვაცი. წინასწარ მზადდებოდა კლუბის წინააღმდეგ ეს კამპანია.

კლუბი ფედერაციისგან ითხოვს, გასაჯაროვდეს ყველა ის მტკიცებულება რის მიხედვითაც ზუგდიდის დინამოს „გაყიდულ თამაშებში“ მონაწილეობა დაუდგინეს და სასჯელი დააკისრეს.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## შედეგები

**2 აგვისტო**
**ფეხბურთი**
**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შერიფი-პლზენი | 1:2 |
| ლუდოგორეცი-დინამო (ზ) | 1:2 |
| მონაკო-პსვ | 1:1 |
| სენ ჟილუა-რეინჯერსი | 2:0 |
| ბენფიკა-მიდტიულანდი | 4:1 |

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 2. ატომის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტალური ნაწილაკი; 3. ქართველი მწერალი; 4. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 5. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 9. მაგარნაჭუჭიანი ტყის ხილი; 10. ფანქრების წარმოებაში გამოყენებული ნახშირბადის შემცველი მინერალი; 14. იტალიის არმიის ელიტარული ქვეითი ნაწილების ჯარისკაცი; 15. ისტორიული ციხექალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 16. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 19. არგენტინელი მწერალი; 20. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 21. თვითმფრინავების სადგომი.

**თარაზულად:** 6. ბოტანიკური ბაღის ნაწილი; 7. ტვინის შერყევა; 8. რაიმეთი გატაცება; 11. საჭმლის სუნელ-სანელებელთა ერთობლიობა; 12. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან ამზადებენ წითელი ფერის საღებავს; 13. მონასტერი ქსნის ხეობაში; 17. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 18. ერთკუზიანი აქლემი; 22. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 23. ვენეციური ნავი; 24. ჯაშუში, დამსმენი; 25. გემის სრული ტვირთმზიდაობა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ლიდო; 2. ბზობა; 3. მაიამი; 5. ემალი; 6. დაბახანა; 8. ტროპოსფერო; 10. ტიბალტი; 12. აირზენა; 14. პოშეტი; 15. ტაბიძე; 16. ფლეში.

**თარაზულად:** 1. დარეები; 4. პეტარდა; 7. სტოუნი; 9. მწნილი; 11. ბოლონია; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. დროება; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. გოზინაყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხარფუხი; 2. აციდოზი; 3. თითლიბაზი; 4. ცაცხვი; 5. მიზერი; 9. ვოლვო; 10. აფალინა; 14. ფილანტროპი; 15. ნოვარტისი; 16. ფრანკი; 19. წუმწუმა; 20. ჩოხელი; 21. ჰამერი.

**თარაზულად:** 6. ჰალუცინაცია; 7. რეგალია; 8. ეფენდი; 11. ბოკვერი; 12. ბზიფი; 13. ვარშავა; 17. პოლიფონია; 18. თურაშაული; 22. ბორჯომი; 23. კრამიტი; 24. ამირბარი; 25. კირჩხიბი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


4 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7332

ევრო — 2.7835

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3299

100 რუსული რუბლი — 4.5084

## ამინდის პროგნოზი 4 აგვისტოსათვის




## მემფის დეპაი ბარსელონას დატოვებს



ბარსელონას ჰოლანდიელი ფორვარდი მემფის დეპაი გუნდს დატოვებს, რადგან ის ხავის გეგმებში არ შედის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბარსელონას ლევანდოვსკი შეუერთდა. დეპაიმ განაცხადა, რომ მან ზუსტად არ იცის, თუ სად გააგრძელებს კარიერას, მაგრამ მას ყველაზე მეტად პრემიერლიგა იზიდავს. არ არის გამორიცხული, რომ დეპაი მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნდეს.

## მამარდაშვილი ვალენსიასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს



ვალენსიას ქართველი გოლკიპერი გიორგი მამარდაშვილი გუნდთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს და ის ვალენსიაში 2027 წლამდე დარჩება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეს უახლოეს დღეებში მოხდება. ვალენსიაში მამარდაშვილის თამაშით კმაყოფილები არიან და ის გუნდის ძირითადი მეკარეა.

## გვარდიოლა: „სიტის დიდი პოტენციალი აქვს“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ მის გუნდს დიდი პოტენციალი აქვს და მომავალ სეზონში შესაძლოა სიტიმ ყველა ტურნირი მოიგოს, თუ იღბალიც მათ მხარეს იქნება: „მინდა, რომ გულშემატკივარი გავახაროთ და იმის გაკეთება შევძლოთ, რაც შარშან ვერ მოვახერხეთ. სიტის დიდი პოტენციალი აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მომღერალი უჩა ვალიშვილი გარდაიცვალა



ახალგაზრდა მსახიობი და მომღერალი უჩა ვალიშვილი გარდაიცვალა. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა და საზოგადოების დახმარება სჭირდებოდა.

უჩა გურჯაანში სახელმწიფო თოჯინების თეატრის მსახიობი და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლ „ხარება“-ს მომღერალ იყო. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, თურქეთსა და საქართველოში ჩაუტარდა ორი ურთულესი ოპერაცია კუჭზე. მკურნალობას აგრძელებდა საქართველოში, თუმცა, მოულოდნელად მდგომარეობის უკიდურესად დამძიმების გამო, საჭირო გახდა მისი გადაყვანა თურქეთში, რადგან ეს ნაბიჯი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. მას შესაბამისი პალიატრიული – მზრუნველობის მკურნალობა და ქიმიოთერაპია უტარდებოდა.

უჩა ვალიშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მომღერალმა ტატო გოდერძიშვილმა გაავრცელა:

– შენ სულ ცოცხალი იქნები ჩემთვის. შეხვედრამდე, ძმაო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 4 აგვისტოსათვის



**ვერძი** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შეგიძლიათ. კეთილისმყოფელი დღეა სულიერი სრულყოფისათვის. **კურო** – დაიტვირთეთ ფიზიკურად, დაკავდით სპორტით. ერიდეთ კამათს მეგობართან. **ტყუპები** – ეცადეთ, დაწყებული საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ. გამორიცხული არ არის რომანტიკული შეხვედრა ან ვახშამი ახლობლების წრეში. **კირჩხიბი** – თავს მშვიდად და ენერგიულად გრძნობთ. ახალი ნაცნობობა ხალისს შეგმატებთ. **ლომი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ინტუიცია არ გიღალატებთ. ხელმძღვანელობასთან კამათს ერიდეთ. **ქალწული** – ნუ დაწვრილმანდებით. თუ გაწყენინეს, დიდსულოვნება გამოიჩინეთ და აპატიეთ. **სასწორი** – მეტი დრო დაუთმეთ პარტნიორულ ურთიერთობებს. კეთილსინდისიერება და პასუხისმგებლობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – ფულს ნურც ისესხებთ და ნურც გაასესხებთ. საყიდლებზე წასვლა სამომავლოდ გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ავანტიურისტებს. ოპტიმიზმი პირად ცხოვრებაში შექმნილი კრიზისის დაძლევაში დაგეხმარებათ. **თხის რქა** – პროფესიონალურ სფეროში ან პირად ცხოვრებაში მოულოდნელად სიძნელეები შეგხვდებათ. ჩანაფიქრის განხორციელებაში მეგობრები დაიხმარეთ. **მერწყული** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. ახლობლებს ნუ დაივიწყებთ. დაეხმარეთ მათ. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. შექმნილი ვითარება გეგმების შეცვლას გაიძულებთ. დღის მეორე ნახევარი მშვიდი და ჰარმონიული იქნება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქმარი ცოლს ეკითხება:
– რა ღრიალებს?
– იქ, კუთხეში, ობობაა.
– მერე რა?
– ძალიან საშინელია!
– არც შენ მყავხარ ანგელოზი, მაგრამ ის კი არ ღრიალებს.

●●●

სამსახურის დაწყების მსურველს დაწესებულების ხელმძღვანელი ეკითხება:
– თქვენი ნაკლი?
– ცოტას ვლაპარაკობ.
– და ღირსება?
– არ ვლაყბობ.

●●●

სექს-შოპში მამაკაცი გამყიდველს ეკითხება:
– გოგონი, ის გასაბერი თოჯინა როდისაა გამოშვებული?
– 2019 წლის 12 იანვარს...
– თხის რქაა. ვერ შევეწყობით...

●●●

მამაკაცი გოგონას ეკითხება:
– გოგონი, ნელი მუსიკაა და ასე სწრაფად რატომ ცეკვავთ?
– დრო არ მაქვს, სწრაფად ვიცეკვებ და სახლში გავიქცევი.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:
– უბრალოდ, უნაკლო ვარ!
ქმარმა ყურადღებით შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:
– მგონი, დროა, სარკე კარგად გავწმინდოთ.

●●●

მამაკაცი ცეკვის დროს ქალს ეკითხება:
– ქალბატონო, ასეთი ღრმა დეკოლტით გაციების არ გეშინიათ?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## თენგიზ არჩვაძე 90 წლისაა



ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდარული მსახიობი თენგიზ არჩვაძე იუბილარია – მას 90 წელი შეუსრულდა. მრგვალი თარიღი ხელოვანმა უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

90 წლის იუბილე თენგიზ არჩვაძეს რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიულოცა:

– წილად მხვდა ბედნიერება ამ დიდებულ კაცთან, შესანიშნავ არტისტთან და მრავალმხრივ საინტერესო, ღრმად ინტელექტუალ პიროვნებასთან სიახლოვისა. ჩემს მწირ სამსახიობო ბიოგრაფიას მასთან პარტნიორობის უზარმაზარი სიამოვნება სდევს თან, სარეჟისორო კარიერაში ოცნებაშიც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ბატონ თენგიზს ჩემთან სარეპეტიციო დარბაზში ვიხილავდი და ყველაზე საამაყოდ და თავმოსაწონებლად მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი წიგნის ავტორობა მგონია.

ამ რამდენიმე წინადადებაში მინდა დავასრულო საკუთარ თავზე საუბარი და უმთავრესსა და უმნიშვნელოვანესზე შევაჩერო თქვენი ყურადღება: ჩვენს გვერდით არსებობს დიდი ქართველი ხელოვანი, ღირსეული კაცი, ჭეშმარიტი რაინდი, საკუთარ მიწა-წყალზე, წეს-ჩვეულებაზე, მემკვიდრეობაზე უკიდეგანოდ შეყვარებული ადამიანი. კაცი, რომელსაც ამდენი ხნის ნაცნობობისა თუ ურთიერთობის მანძილზე არც ერთ მის კოლეგაზე ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა არ დასცდენია, კაცი, რომელიც სიტყვაძუნწობის მიუხედავად, ყველაზე ბევრს „ლაპარაკობს“ საკუთარი ცხოვრების წესით – ღირსებაზე, თავდადებაზე, მოყვასის სიყვარულზე, გონიერებაზე, განსწავლულობაზე. ასეთი ადამიანები ქმნიან ისეთ საზოგადოებას, როგორითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა. და მეც, როგორც ამ ერის ერთ რიგით შვილს, მეამაყება, რომ მყავს ასეთი უფროსი მეგობარი.

როდესაც ასეთი უფროსი მეგობრებისა და კეთილი რჩევის მომწოდებლების სია მცირდება, უფრო და უფრო მეტად შეიგრძნობ დიდ სულიერ სიცარიელეს. ჰოდა, ჩემო ძვირფასო ბატონო თენგიზ, ძალიან, ძალიან დიდხანს უნდა გვყავდე მხნედ, ჯანმრთელად, იმედად და მაგალითად! იცოცხლეთ!

## „სამზარეულოს ომები“ ვახო ბიჭიკაშვილმა მოიგო



იუმორისტმა ვახო ბიჭიკაშვილმა და მისმა მეწყვილემ ომიკო ბენაშვილმა ტელეკომპანია „ფორმულას“ პროექტში „სამზარეულოს ომები“ გაიმარჯვეს.

კულინარიული შოუს ვარსკვლავურ პროექტში ცნობილი მსახიობები, მოდელები, იუმორისტები მონაწილეობდნენ.

დაძაბულ ბრძოლაში, ჟიურის გადაწყვეტილებით, საუკეთესოს ტიტული ვახო ბიჭიკაშვილმა და ომიკო ბენაშვილმა მიიღეს. მათ პროექტის მთავარი პრიზის გარდა, ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოებიც დაიმსახურეს:

– ძალიან დიდი მადლობა ყველას, არასოდეს არაფერი მომიგია, რა მაგარი ყოფილა. ყველა მიყვარხართ, მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულის, – განაცხადა ვახო ბიჭიკაშვილმა.

## მოზარდ მაყურებელთა თეატრი შექსპირის ფესტივალზე მიიწვიეს

ნოდარ დუმბაძის სახელობის თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი იტალიის ქალაქ ვერონაში დაგეგმილ შექსპირის ფესტივალზეა მიწვეული.

ქართული დასი 26 აგვისტოს იტალიაში შექსპირის ფესტივალზე წარმოადგენს სპექტაკლს „აურზაური არაფრის გამო“.

## ეროვნული ბიბლიოთეკა მთელ საქართველოში წიგნის ბუდეებს მოაწყობს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში წიგნის ბუდეებს მოაწყობს. ამ პროექტს ეროვნული ბიბლიოთეკა და პროკრედიტ ბანკი ერთობლივად განახორციელებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ და პროკრედიტ ბანკის დირექტორმა მარიტა შეშაბერიძემ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეებს შორის თანამშრომლობას საგანმანათლებლო პროექტების მიმართულებით: დამზადდება წიგნის ბუდეები – მინიბიბლიოთეკები, რომლებიც განთავსდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში – ამ პროექტს ბიბლიოთეკა უკვე წლებია ახორციელებს.

მომზადდება გამოფენა საქართველოში გერმანელების (ისინი კავკასიაში და მათ შორის საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩამოსახლდნენ) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ექსპოზიცია წარმოდგენილი იქნება იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც განთავსდება წიგნის ბუდეები. აქვე გაიმართება საჯარო ლექცია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც ასევე შეეხება იმას, თუ როგორ ცხოვრობდნენ და რა გავლენა იქონიეს გერმანელებმა საქართველოს საზოგადოებრივ, კულტურულ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

იგეგმება ეროვნული ბიბლიოთეკისა და პროკრედიტ ბანკის ერთობლივი გამოცემის შექმნა, რომელიც საქართველოში გერმანელების ცხოვრებას შეეხება.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– დიდი ამბავი: დღეიდან სკვერის ბიბლიოთეკებს პროკრედიტ ბანკი დააფინანსებს და წიგნის ბუდეები, რომელთაც წლებია ვხსნით, საქართველოს ყველა ქალაქში გვექნება.

მარიტა შეშაბერიძე, პროკრედიტ ბანკის დირექტორი:

– პროკრედიტ ბანკი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდებში წიგნიერების ხელშეწყობის ინციატივებსა და ევროპული ღირებულებების გაზიარების შესაძლებლობებს. გერმანული ბანკი საქართველოში 23 წელზე მეტია საქმიანობს და მთელი ამ დროის მანძილზე ჩვენთვის, როგორც საერთაშორისო ჯგუფის წევრი ბანკისთვის, მნიშვნელოვანია ღირსეული წვლილი შევიტანოთ როგორც ქვეყნის ეკონომიკურ, ასევე საზოგადოებრივი განვითარების საქმეში. ამიტომაც ჩვენი კომპანიისთვის სიმბოლური და სასიხარულოა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაწყებული თანამშრომლობა. მემორანდუმის ფარგლებში არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება იგეგმება, რომელსაც წლის განმავლობაში წარვუდგენთ საზოგადოებას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მდინარე საქართველო-რუსეთის საზღვარზე; 2. მეცხოველეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 3. მდინარე ზუგდიდში; 5. ფასიანი ქაღალდი; 6. ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 8. გერმანიის პარლამენტი; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ველური ვარდი; 15. ნარკოტიკული ნივთიერება; 16. აფრიკაში ბინადარი ჟირაფისნაირთა ოჯახის ცხოველი.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 4. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 7. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 9. ჭარხლიდან მიღებული ტკბილი საკვები პროდუქტი; 11. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 12. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 13. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 17. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 12. კუთხე საქართველოში; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, უკრაინის ჰეტმანი; 20. მაღალმთიანი ტბა პერუ-ბოლივიის საზღვარზე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

